www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 25 ივნისი, 2012 წელი. | №3047 (140) | ფასი 50 თეთრი

თუ ჩვენ თავად არ გამოვიჭრით ყელს, რაც ისტორიულად გვრჩევია, საქართველო ამ კრიზისსაც დაძლევს

გვ.3

თურქეთი ნატო-ს კონსულტაციას ითხოვს

ივა შილაკაძე

თურქეთმა, სირიიდან მომდინარე საფრთხისგან დასაცავად, ნატო-ს ფარგლებში კონსულტაციების სასწრაფოდ გამართვა მოითხოვა. ამის მიზეზი სირიის მიერ თურქეთის თვითმფრინავის ჩამოგდება გახდა. ამავე საკითხზე, სავარაუდოდ, გაეროს უშიშროების საბჭოც იმსჯელებს და ის იქნება განხილვის ერთ-ერთი თემა ევროკავშირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

საბანკო სექტორის რისკები და ძვირი ფული

ნინო ნარჩემაშვილი

უკანასკნელ პერიოდში გახშირებული კრიტიკის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორმა წლის პირველი ხუთი თვე 70 მილიონიანი წმინდა მოგებით დაასრულა. საბანკო სექტორმა იანვარ-მაისში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16 პროცენტით მეტი შემოსავლები მიიღო. 893 მილიონიანი შემოსავლებიდან უდიდესი წილი საპროცენტო განაკვეთებიდან მიღებული თანხებია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ახალი თაობის თეატრალების საერთაშორისო ფორუმი

CCCP-ის ნოსტალგია და მისი აღდგენის "დიადი" და შეფარული რუსული მიზანი

ლაშა ჩხარტიშვილი

მოლდოვის დედაქალაქ კიშინოვში უკვე დასრულდა ჩეხოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალისა და თეატრალური კავშირების საერთაშორისო კონფედერაციის მიერ ორგანიზებული, თეატრის ახალგაზრდა მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ახალგაზრდა დრამატურგები, თეატრის მხატვრები, თეატრმცოდნეები და რეჟისორები მონაწილეობდნენ. აღნიშნული ფორუმის მონაწილეებმა ჯერ ადგილობრივ, ხოლო შემდეგ საერთაშორისო დონეზე შესაბამისი შესარჩევი კონკურსი გაიარეს და პირობითად საუკეთესოებიც შეარჩიეს.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

ფესტივალის გახსნა სპექტაკლით "მახინჯი"

1 აშშ დოლარი	1.6340⇓		
1 ევრო	2.0704⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5669⇓		
1 თურქული ლირა	0.9087⇓		
100 რუსული რუბლი	4.9658⇓		
თბილისი	30°C - 19°C		
ქუთაისი	33°C - 20°C		
თელავი	32°C - 18°C		
ზუგდიდი	31°C - 19°C		
ბათუმი	27°C - 19°C		
ნავთობი	2.54	+0.01	+0.54%
გაზი	2.63	+0.05	+1.83%
ოქრო	1,567.90	+2.40	+0.15%
ხორბალი	681.75	+20.00	+2.93%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს სუბიექტურობისა და ბალანსი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

რეალური იტალია

ზურაბ თალაკვაძე

კიევში სერიალი მორჩა. ბევრი წუთის, დიდი დოზით ნერვიულობის შემდეგ, ოთხთა ფინალში იტალია შევიდა. ფეხბურთის ახალი ძეფირელის, სენიორ ჩეზარე პრანდელის ცისფერმა გუნდმა იტალიურად მოინდომა, არაიტალიურად შეუბერა და მოსაგები მოიგო. იტალიამ ინგლისს პენალტების სერიაში გადაუჯოკრა და იტალია იმ სერიამდეც უკეთესი, უფრო მოქნილი გუნდი იყო.

გაგრძელება
მე-12 გვერდზე

იტალია ნახევარფინალშია

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის" და „Weekend"-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებზე „საქართველოს ფოსტის" პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

დღეს საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მარშალი ჩამოდის

დღეს თბილისს პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მარშალი ბოგდან ბორუსევიჩი ეწვევა. ის პოლონეთის დელეგაციასთან ერთად დღესვე შეხვდება საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს.

ბოგდან ბორუსევიჩი სამშაბათს თსუ-ში ლექციას წაიკითხავს. შემდეგ ლეხ კაჩინსკის მემორიალს გვირგვინით შეამკობს. დღის პირველ ნახევარშივე ბორუსევიჩი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს შეხვდება, რის შემდეგაც მათი ერთობლივი ბრიფინგი გაიმართება. იმავე დღეს ბორუსევიჩი შეხვედრას გამართავს საპარლამენტო ოპოზიციასთან და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან.

დელეგაცია საქართველოს 28 ივნისს დატოვებს, მანამდე კი სტუმრები პოლონური დიასპორის წარმომადგენლებსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ანდჟეი ტიშკევიჩს შეხვდებიან. გარდა ამისა, პოლონეთის დელეგაცია ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზონას, ქუთაისის პარლამენტის სასახლეს და ქუთაისის ღირსშესანიშნაობებს, ბათუმის იუსტიციის სახლს და გონიოს ციხეს დაათვალიერებენ. ასევე, ყოფილი დეპუტატის ვანო ხუხუნაიშვილის საფლავს გვირიგვინით შეამკობენ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეს შეხვდებიან.

"სანდრას უნდა ვუთხრა, რომ წელს ბავშვი აქ ამოიყვანოს"

საქართველოს პრეზიდენტმა კურორტ ბახმაროს განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა ბახმაროს, როგორც კურორტის მნიშვნელობასა და მის პოტენციალზე და აღნიშნა, რომ იქ მალე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ცენტრი აშენდება. ბახმაროში სტუმრობისას მიხეილ სააკაშვილი დაინტერესდა, არის თუ არა გაკეთებული გზა მისი წინამორბედის, ედუარდ შევარდნაძის მშობლიურ სოფელ მამათში. სააკაშვილის განცხადებით, ამ სოფელს გზა არც 8-9 წლის წინათ ჰქონდა, როდესაც თავად ოპოზიციაში იყო და ყველა ამბობდა, "შევარდნაძემ აქაურობა გაწირაო".

"სირცხვილია! მას შემდეგ 8 წელი გავიდა და ჩვენი მთავრობის ხელში გზა კიდევ არა აქვთ," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ გურიაში, პირველ რიგში, მამათის გზა უნდა გაკეთდეს. პრეზიდენტმა ბახმაროს განვითარებაზეც ისაუბრა და მთის ასეთ კურორტს საგანძური უწოდა. **"სანდრას უნდა ვუთხრა, რომ წელს ბავშვი აქ ამოიყვანოს,"** - დასძინა პრეზიდენტმა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტი ბახმაროს ცენტრში 15-ადგილიანი თანამედროვე სტანდარტების ტიპის სასტუმროს მშენებლობასაც ითვალისწინებს. ასევე, კეთილმოწყობა მიმდებარე ტერიტორია, აშენდება 100 მაყურებელზე გათვლილი კინოთეატრი და მოეწყობა სპორტული მოედნები. ცენტრალურ ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი სუპერმარკეტის, აფთიაქისა და ამბულატორიის მშენებელობაც. ბახმაროს განვითარების პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება ცენტრალური მაგისტრალი ჩოხატაური - ბახმაროს მიმართულებით და კურორტ ბახმაროს შიდა გზები, რომელთა სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

მეუღლე ელისო კეცხოველი, შვილები ნიკოლოზ ონიანი, ლელა ონიანი, რძალი ლელა კირთაძე, სიძე დავით კოტარია, შვილიშვილები - ეკატერინე კოტარია და მისი მეუღლე ზაზა დუგლაძე, კონსტანტინე კოტარია და მისი მეუღლე სტელა კასრაძე, თენგიზ და თორნიკე ონიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

თენგიზ ონიანი

პანაშვიდი: 24,25 ივნისს 17 სთ-ზე

მის: გოთუას ქუჩა N16, მე-5 სადარბაზო, ბინა N114

გამოსვენება: 26 ივნისს სიონის საკათედრო ტაძრიდან, 14 სთ-ზე

"მიმდინარე წინასაარჩევნო გარემო გაცილებით კონსტრუქციულია"

დღის შეკითხვა:

რით განსხვავდება მიმდინარე წინასაარჩევნო გარემო იმ პერიოდისგან, რომელიც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებს უძღოდა წინ?

კახა გოგოლაშვილი, *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი:*

2008 წლის წინასაარჩევნო გარემო ხასიათდებოდა მეტი კონფრონტაციულობით, მეტი უნდობლობით. ოპოზიცია აქცენტს აკეთებდა ქუჩის გამოსვლებზე. მმართველი ძალა დიალოგისთვის ღია არ იყო. შესაბამისად, მაშინდელი საარჩევნო გარემო დაძაბულობით გამოირჩეოდა.

მიმდინარე წინასაარჩევნო გარემო გაცილებით კონსტრუქციულია. საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნების გაზიარებისა თუ სხვადასხვა სახის დიალოგის საფუძველზე საკანონმდებლო ფორმირებაში საზოგადოების ჩართულობა მოხდა. საზოგადოებრივი აქტივობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.

ეს აქტივობა 2008 წელსაც არსებობდა, მაგარამ დაძაბულობას და კონფრონტაციას უწყობდა ხელს. შესაბამისად, არჩევნებმაც უფრო დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა და მისი შედეგების ლეგიტიმურობა პარტიებმა ნაწილმა არ ცნო. ამჟამად მეტი მოლოდინია იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს საზოგადოება გაიზიარებს.

დღევანდელ საარჩევნო გარემოში ჯერ კიდევ არსებობს მოსაგვარებელი საკითხები - თუნდაც პარტიების დაფინანსების, ასევე საარჩევნო პროცესის მონიტორინგის. გადასაწყვეტია რამდენიმე კერძო საკითხი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობას ეხება და რომლის გარშემოც საკმაოდ უსიამოვნო ატმოსფერო შეიქმნა. ამ საარჩევნო გარემოში კერძო საკითხები კუნძულებივით არსებობს, თუმცა მათ, ჩემი აზრით, არჩევნების საერთო შედეგებზე სერიოზული გავლენა არ უნდა მოახდინონ. შედეგებში ვგულისხმობ არა იმას, თუ ვინ გაიმარჯვებს, არამედ იმას - რამდენად მიიღებს არჩევნების შედეგს საზოგადოება. ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია და ალბათ - საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. საერთაშორისო დიდი მოთამაშეები, რომლებსაც საქართველოსთან ურთიერთობა აქვთ, პირველ რიგში, სწორედ იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ მათთვის მთავარია დემოკრატიამ გაიმარჯვოს და არა ამა თუ იმ პოლიტიკურმა ძალამ.

ნინო ხატისკაცი, *საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო , საარჩევნო პროგრამების დირექტორი:*

არსებობს რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი, თუმცა მსგავსებები უფრო მეტია. ახლანდელისგან განსხვავებით 2008 წლის წინაასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება 6-7 თვით ადრე არ დაუწყიათ. ამ არჩევნებისთვის ჩვენ მართლაც გამონაკლისი შემთხვევა გვაქვს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი გარემოება გახლავთ ის, რომ ამჟამად უფრო მასშტაბური და ყოვლისმომცველი დარღვევები ფიქსირდება, ვიდრე 2008 წელს იყო. მიზეზი ორგვარია. ამ არჩევნების დროს კონკურენცია გაცილებით უფრო მაღალია და პოლიტიკური ოპოზიციაც ძლიერად გამოიყურება. ეს საარჩევნო გარემოს, რა თქმა უნდა, სიმხურვალეს მატებს. არსებობს მეორე მომენტიც - მედია უფრო გამოცოცხლებულია. ეს განსაკუთრებით რეგიონულ მედიასაშუალებებს ეხება. ისინი 2008 წელსაც აქტიურები იყვნენ, მაგარამ ახლა განსაკუთრებული მობილიზებულობით გამოირჩევიან. 2008 წელს ჩვენ თავად უფრო მეტი ფაქტის მოპოვება გვიხდებოდა, დღეს მსგავს ფაქტებს მედია მყისიერად ავრცელებს.

ტიპოლოგია საარჩევნო დარღვევებისა თითქმის იგივეა. კვლავინდებურად გამოიყენება ადმინისტრაციული რესურსები. ერთადერთი განმასხვავებელი ფაქტი გახლავთ ის, რომ ამჯერად პოლიტიკური პარტიებიც გააქტიურდნენ, ვინაიდან მათ მეტი ფინანსური რესურსი მიეცათ. შესაბამისად, მმართველი პარტიის პარალელურად, ოპოზიციური პარტიებიც ცდილობენ, კანონს გვერდი აუარონ. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების მიერ დახარჯული თანხების მიზნობრიობის რეგულირება დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ამ არჩევნებზე არის ის, რომ კანონმდებლობა გამკაცრებულია, მოქმედებს მკაცრი სანქციები. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: კანონდარღვევებზე ოფიციალური უწყებების რეაგირებები ხშირად კანონის ზღვარს მიღმა გადადის. ანუ ეს უწყებები თავადვე უგულებელყოფენ კანონს. ასევე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც მაკონტროლებელის ფუნქცია აკისრიათ - მაგალითად, კონტროლის პალატა, ოპოზიციური პარტიების ქმედებებზე მყისიერად რეაგირებს, მმართველი პარტიის მიმართ კი მისი პოზიცია უფრო მიმტევებელია.

გია ნოდია, *პოლიტოლოგი:*

წინა საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიცია დასუსტებული იყო. მან საპრეზიდენტო არჩევნებისას პიკს მიაღწია და შემგომში რღვევა დაიწყო. ახლა ოპოზიცია აღმავალია. სხვა პრინციპულ განსხვავებას ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

ესაუბრა ვერიკო თევზაძე

გოჩა ძასოხოვის ძმა "რემბოს" მკვლელობისთვის გაასამართლეს

9 წელი და ხუთი თვე - ეს ის სასჯელია, რომლის მოხდაც, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის ყოფილი წევრის, გოჩა ძასოხოვის ძმას, რიჩარდ ძასოხოვს მოუწევს. ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის, ასლან აბაშიძის უახლოესი გარემოცვის წევრის, ელგუჯა ჯინჭარაძის, მეტსახელად "რემბოს" მკვლელობისთვის მოსკოვში გაასამართლეს.

ელგუჯა ჯინჭარაძის სახელი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი 2004 წელს, ე.წ. აჭარის კრიზისის დროს გახდა. ჯინჭარაძე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასლან აბაშიძის მმართველობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. 2004 წლის მაისში, სააკაშვილსა დ აბაშიძეს შორის კონფლიქტის დროს, ის სააკაშვილის მხარეს გადავიდა. მაშინ ელგუჯა ჯინჭარაძე თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა და თბილისში ჩამოვიდა ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად. მოგვიანებით, 2005 წელს, აჭარის შსს-მ "რემბოს" წინააღმდეგ, თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. თუმცა, იმდროისთვის ჯინჭარაძე უკვე საქართველოდან მოსკოვში იყო გაქცეული.

უცნობმა პირებმა, ელგუჯა ჯინჭარაძეს, ტარას შევჩენკოს სანაპიროზე, სასტუმრო "უკრაინასთან," 2010 წლის 10 სექტემბერს, გვიან ღამით გაუხსნეს ცეცხლი. მიღებული მძიმე ჭრილობებით, ელგუჯა ჯინჭარაძე ადგილზევე გარდაიცვალა. "რემბოზე" განხორციელებულ თავდასხმაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. ეჭვმიტანილები შემთხვევის ადგილიდან ავტომანქანით მიიმალნენ, რომელსაც სამართალდამცველებმა ოპერატიულად მიაგნეს. მანქანის მფლობელი ტაქსის მძღოლი აღმოჩნდა, რომლის ინფორმაციით, მგზავრები რუბლიოვკის რაიონში ჩამოსვა. თვითმხილველების თქმით, ჯინჭარაძესთან ორი კავკასიური გარეგნობის მამაკაცი იმყოფებოდა, რომელთაგან ერთ-ერთმა, პოსტოლეტი ამოიღო და ჯინჭარაძეს ესროლა.

"პერეხვატი" - ასეთი სახელწოდება ჰქონდა სპეცოპერაციას, რომლის შედეგადაც, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, "რემბოს" მკვლელობაში ეჭვმიტრანილი, 39 წლის რიჩარდ ძასოხოვი დაიკავეს.

რუსული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციებით, საქმის მასალებიდან გაირკვა, , რიჩარდ ზასოხოვი სასტუმრო "უკრაინაში" იმავე ბანკეტზე იმყოფებოდა, სადაც ელგუჯა ჯინჭარაძე. ბანკეტის დასრულების შემდეგ რიჩარდ ძასოხოვი და ელგუჯა ჯინჭარაძე, ტარას შევჩენკოს სახელობის სანაპიროზე გავიდნენ, სადაც მათ შორის დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზარდა. რიჩარდ ძასოხოვმა "სტეჩკინის" პისტოლეტი ამოიღო და "რემბოს" ორჯერ ესროლა. გასროლის შემდეგ მკვლელი ტაქსში ჩაჯდა და მიიმალა. გამოძიების მასალებში ფიგურირებს კიდევ ერთი ეჭვმიტანილი, რომლის ვინაობაც დღემდე უცნობია.

რუსული პრესა მკვლელობის მოტივზე - ბიზნესინტერესების გამო მომხდარ ანგარიშსწორებაზე საუბრობს. "რემბოს" საქმესთან დაკავშირებით, რუსულმა პრესამ შვიდი წლის წინ მომხდარი კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობა გაიხსენა. საუბარია ელგუჯა ჯინჭარაძის ძმაზე, ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძის მკვლელობაზე. არსებობს ვერსია, რომ მამუკა ჯინჭარაძეს, სწორედ "რემბო" ახლდა თან, როდესაც ის თავდამსხმელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, ნიჟნევარტოვსკის საქალაქო სათათბიროს დეპუტატი მამუკა ჯინჭარაძე საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილეს. 38 წლის ბიზნესმენს შვიდი ტყვია ესროლეს. მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ მაშინ გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარს შეკვეთილი მკვლელობის კვალიფიკაცია მიეცა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

თუ ჩვენ თავად არ გამოვიჭრით ყელს, რაც ისტორიულად გვჩვევია, საქართველო ამ კრიზისსაც დაძლევს

***საფრანგეთში ორგანიზაცია "ქარტია 2010"-**ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს დეპუტატი მედეა თუშმალიშვილი, საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების მოწვევით, დაესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილ ქუთაისში გამართულ საზეიმო ცერემონიალს. ქართული დიასპორას აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია და ეს არაერთხელ დადასტურდა. ქალბატონ მედეას ვთხოვეთ, გაეზიარებინა საკუთარი შთაბეჭდილებები ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, ესაუბრა წინასაარჩევნო ვითარებაზე და რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე, იმავდროულად, დასავლეთის მიერ გამოხატულ საერთაშორისო მხარდაჭერაზე.*

- ქალბატონო მედეა, თქვენ 26 მაისს დაესწარით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და საზეიმო გახსნას პარლამენტის ახალი შენობისა, რომელსაც მავანნი დანგრევას უპირებენ. გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები.

- რამდენადაც ვიცი, "მავანნი", რომელნიც პარლამენტის ახალი შენობისა და ხიდის დანგრევით იმუქრებიან, ერთი პიროვნებაა - ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა და ალბათ გაუგია, რომ თავის დროზე საფრანგეთში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ეიფელის კოშკმა (დღეს რომ პარიზის სიმბოლოა), ასევე ლუვრის ეზოში აგებულმა შუშის პირამიდამ და საკმაოდ უჩვეულო არქიტექტურის მქონე პომპიდუს ცენტრმა, მაგრამ არავის უთქვამს - დავანგრევთ და ავაფეთქებთო. საფრანგეთში არის საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული აზრის გამოთქმის კულტურა, რომელიც იცავს საზოგადოებას ცალკეული ექსცენტრიული პიროვნების გაუწონასწორებელი ემოციებისგან. რაც შეეხება ქუთაისში პარლამენტის გადატანას, ვფიქრობ, ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომლის შედეგი მომავალში უეჭველად წარმოჩინდება. ქუთაისი, რომელიც ოდითგან იყო ქართული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი - შორს რომ არ წავიდეთ, მეოცე საუკუნის დასაწყისში სწორედ ქუთაისში მოიყარა თავი იმდროინდელმა შემოქმედებითმა ელიტამ - საბჭოთა პერიოდში მიძინებულ, პერიფერიულ, ქალაქად იქცა. ამდენად, ის ფაქტი, რომ ქუთაისში იქმნება ქართული პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრი, საინტერესო და პერსპექტიულ იდეად გვესახება. საზოგადოდ, დღეს საქართველოში მიმდინარეობს ყველა რეგიონის აღორძინება, ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცესია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, რისი არდანახვაც და არდაფასებაც შეუძლებელია.

- თქვენი აქ ყოფნის დღეს ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერებმა მიტინგი გამართეს. თვალყურს ადევნებდით ამ ღონისძიებას? როგორ ფიქრობთ, რას სიახლეს სთავაზობენ ისინი საქართველოს მოსახლეობას?

- 27 მაისს გამართულ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა მიტინგის შესახებ შემიძლია გითხრათ, რომ დასავლეთის თვალში, ეს იყო ხელისუფლების მიერ დემოკრატიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი - მიტინგი ჩატარდა დედაქალაქის მთავარ მოედანზე ყოველგვარი ექსცესების გარეშე. რაც შეეხება პირადად ჩემსა და, როგორც ირკვევა, ჩემს მრავალრიცხოვან თანამოაზრეთა დამოკიდებულებას ამ თავყრილობის მიმართ, გეტყვით, რომ ეს იყო პოლიტიკური უმწეობისა და უზნეობის კიდევ ერთი ნიმუში, რომლის მსგავსი არაერთხელ ვიხილეთ უკანასკნელ წლებში. მაგალითად, როდესაც "მავანნი" შამპანურს ხსნიდნენ 1992 წლის 7 იანვარს დაცხრილული და დანგრეული პარლამენტის შენობის წინ, როდესაც იგივე "მავანნი", შევარდნაძის წინ დაჩოქილნი, ყვიროდნენ: ჩვენ ავლოკავთ შენს გადაფურთხებულსო, როდესაც 26 მაისს "მავანნი" აღფრთოვანებულნი შესცქეროდნენ თბილისის სტადიონზე ეროვნულ დროშაზე მგორავ, მესიად შერაცხულ "უცნობს" და სხვა ამდაგვარი. ამჯერად, 27 მაისს გამართული მიტინგი თავისი ფორმითა და შინაარსითაც იყო პოლიტიკური უზნეობის დემონსტრირება - მარტო მსახიობი ჭანკვეტაძე რად ღირდა. გასული საუკუნის 30-იანი წლების აქტივისტის ფანატიკური გზნებითა და წკრიალა ხმით რომ ატყობინებდა იქ შეკრებილთ, თუ როგორ უახლოვდება ბიძინა ივანიშვილი, თავისი ესკორტით, ტრიბუნას, როგორ გასცდა იგი ერთ ჭადარსა და მეორეს უახლოვდება... ამ მღელვარე მოლოდინის შემდეგ, ტრიბუნაზე, როგორც იქნა, ახალმოვლენილი "ბელადი" და მოდერნიზებული ყვარყვარე თუთაბერი გამოჩნდა! სად, რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი მსგავსი ტრაგიკომიკური სანახაობის ხილვა, ასე რომ გვაგონებს ჩრდილოეთ კორეის საზეიმო ცერემონიალს?! გავიცინებდით ამ ახლად შობილი "პოლიტიკოსის" აღმართულ მუშტზე, მაგრამ საქმე საქართველოს მომავალსა და ამ ათასობით მოტყუებული მომიტინგის ბედს რომ ეხება?!

- არადა, ქართული მედია ერთხმად აღნიშნავდა, რომ მიტინგს რამდენიმე ათასი ადამიანი დაესწრო, ზოგი 150 000 და მეტსაც ასახელებდა.

- რამდენი ათასი დაესწრო, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმ მოცემულობას, რომ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში უკმაყოფილოთა რიცხვი დიდი იქნება. ათასობით ადამიანის ქუჩაში გამოსვლა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ნორმალური პროცესია. ჩვენს შემთხვევაში, ვგულისხმობ ისევ ივანიშვილის მიტინგს, უბედურება ის კი არ არის, რამდენიმე ათასი ადამიანი ქუჩაში რომ გამოვიდა და ალბათ ისევ გამოვა, არამედ ის მეტად საგანგაშო ფაქტი, რომ მოლოდინმა ნაციონალური მოძრაობის დონის ოპოზიციის შექმნისა, რომელიც მას ჯანსაღ კონკურენციას გაუწევს და მომავალში შეძლებს მის ჩანაცვლებას, ფიასკო განიცადა. ივანიშვილის "ქართული ოცნების" სახით ჩვენ მივიღეთ პოლიტიკურად კიდევ უფრო სუსტი ოპოზიცია. როდესაც რამდენიმე პოლიტიკური პარტია ქმნის კოალიციას, რომლის ლიდერის ერთადერთი ხიბლი არა პოლიტიკური, არამედ ფინანსური კაპიტალია, ისიც რუსეთის ველური კაპიტალიზმის პირობებში დაგროვილი, ეს, მართლაც, ამ პარტიის სრულ პოლიტიკურ მარცხზე მეტყველებს, მით უფრო, როდესაც თვით ამ პარტიების რეიტინგი წლების განმავლობაში ძალზე დაბალია და იგი, ძირითადად, ყველაზე მარგინალურ ძალებს აერთიანებს.

- საქართველოში წინასაარჩევნო მარათონი დაიწყო. თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში, ამ თვალსაზრისით, კონკურენტული გარემო და როგორია ძალთა თანაფარდობა?

- წინასაარჩევნო კამპანია, ცხადია, დაწყებულია. დრო ცოტა რჩება. სხვათა შორის, ხელისუფლება მუდმივად წინასაარჩევნო რეჟიმში მუშაობს, როგორც ჩანს, ეს მათთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. თქვენ მეკითხებით, არის თუ არა კონკურენტული გარემო? რა თქმა უნდა, არ არის.

საერთოდ, არ მესმის, რა კონკურენტულ გარემოზე საუბრობს ზოგიერთი პოლიტიკოსი, როდესაც ყველაზე მრავალრიცხოვანი პოლიტიკური გაერთიანების ლიდერისგანაც კი ვერ მოისმენ ერთ სერიოზულ პოლიტიკურ განცხადებასაც კი, ვერც ერთ ცოცხალ აზრს, რაიმე პროგრამის მსგავსს საშინაო და გნებავთ, საგარეო პოლიტიკაში!

"პრეზიდენტი მშიშარაა" - შეიძლება ეს განცხადება მივიჩნიოთ პოლიტიკური გაერთიანების ლიდერის რაიმე ღირებულების მქონე განცხადებად? რას ნიშნავს მშიშარა პრეზიდენტი? პრეზიდენტს ვახასიათებთ თუ გლადიატორს, ლომების გალიაში შესვლისა რომ არ ეშინია? პრეზიდენტთან მიმართებაში არსებობს ცნება "პოლიტიკური გამბედაობა", რომელიც ჩვენს პრეზიდენტს, რაგინდ კრიტიკულად არ უმზერდნენ მას, ნამდვილად არ აკლია. სხვათა შორის, პრეზიდენტი არ სარგებლობს ტყვიაგაუმტარი მინით, "უშიშარი ლიდერისგან" განსხვავებით.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური დონე გაცილებით მაღალია. ეს კარგად ორგანიზებული, მონოლითური პარტიაა, რომელსაც, განსხვავებით სხვა პარტიებისა, გააჩნია სტრატეგიული ხედვა. 2012 წლის ოქტომბერში ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებში ხმების უმრავლესობას მიიღებს და ჩვენ ამ ფაქტს მივესალმებით.

- როგორი იქნება "ქარტია 2010-ის" როლი ამ პროცესში?

- "ქარტია 2010-ის" განცხადებებში ჩვენ მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ საქართველოსთვის მთავარი საკითხი მისი სუვერენიტეტის შენარჩუნებაა, რის გარანტიასაც ნაციონალური მოძრაობა იძლევა. ამიტომაც, ამ პარტიას უპირობოდ დავუჭერთ მხარს.

- "ქართული ოცნების მიტინგებზე ნატო-სა და ევროკავშირის დროშებიც ფრიალებს...

- ქართული ოცნების ლიდერიცა და მის გვერდით მდგომნიც ძირითადად პრორუსული ორიენტაციის ძალებია. საზოგადოდ, როდესაც რომელიმე პოლიტიკოსი ამბობს - არც რუსეთი მინდა და არც ნატო, საქართველო ნეიტრალური უნდა იყოსო, არ დაიჯეროთ, იგი რუსეთზე ორიენტირებულია, ვინ პოლიტიკური და ვინ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ნეიტრალიტეტს გამორიცხავს. ან ვის უნახავს, ოკუპირებული ტერიტორიების მქონე ქვეყანა ნეიტრალიტეტს აცხადებდეს? რა მივიღეთ 1921 წელს ნეიტრალიტეტის გამოცხადებით, ყველამ ვიცით. რაც შეეხება ნატო-ს დროშების ფრიალს ივანიშვილის მიტინგზე, ეს იყო დასავლეთის თვალისთვის გამიზნული იაფფასიანი ფანდი. საბედნიეროდ, ამ "პროდასავლური" სიმბოლიკის სიმრავლემ დასავლეთის პოლიტიკური ელიტა შეცდომაში ვერ შეიყვანა.

- ივანიშვილის მომხრეები ავრცელებენ ხმებს, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ეს მისმა მეუღლემაც დაადასტურა თამარ ჩიქოვანის საავტორო გადაცემაში

- არ ვიცი, რამდენად პროფესიულია ივანიშვილის დაცვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ მის უსაფრთხოებას რაიმე დაემუქრება (რაც მაეჭვებს), მას ყველაზე უკეთ საქართველოს უშიშროების სამსახური დაიცავს, რადგან ეს ხელისუფლების უპირველესი ინტერესია. საერთოდ, მრავალრიცხოვანი დაცვა, ტყვიაგაუმტარი მანქანები და შუშები და მსგავსი საშუალებები ემსახურება პოლიტიკური იმიჯის შექმნას და რაც უფრო სუსტია პოლიტიკოსი, მით მეტი აქცენტი კეთდება დაცვის მანქანების რაოდენობაზე. ეს აპრობირებული და გავრცელებული პიარტექნოლოგიაა.

- დასავლეთის ინტერესი რომ საკმაოდ დიდია, ეს ნატო-ს სამიტმაც და ჰილარი კლინტონის ვიზიტმაც დაადასტურა. როგორ შეაფასებდით ამ ვიზიტსა და იმ გზავნილებს, რომლებიც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა გააჟღერა?

- ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი, ისე როგორც სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსთა სტუმრობა საქართველოში, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ დასავლეთის ინტერესი და მისი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ უცვლელია. ჩვენ ყოველთვის ვიყავით იმ აზრის და დღესაც მეტად ვრწმუნდებით, რომ ამერიკის პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მიერ დაწყებული "გადატვირთვის" პოლიტიკა რუსეთთან, მხოლოდ რიტორიკაა და არაფერს ცვლის, არც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში და არც დასავლეთის დამოკიდებულებაში საქართველოს საკითხის მიმართ. ჰილარი კლინტონის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დასავლეთი არ ცნობს რუსეთის უფლებას, ჰქონდეს პრეტენზია გავლენის სფეროებზე, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში. მეორე მნიშვნელოვანი მომენტია, რომ ამერიკამ აღიარა - საქართველოს უსაფრთხოებისთვის სჭირდება საზღვაო და საჰაერო დაცვა, რასაც აქვს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური დატვირთვა.

- ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ საქართველოში უნდა მოხდეს ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა. ოპოზიციის ინტერპრეტაციით, მან იგულისხმა ოპოზიციისთვის ხელისუფლების გადაცემა.

- კლინტონმა თქვა ის, რასაც იტყვის ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკოსი. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდეს ძალაუფლების გადაცემა. მაგალითად, საფრანგეთში მემარცხენე პარტია ხელისუფლების სათავეში 14 წლის განმავლობაში იყო, მემარჯვენე - სულაც, თვრამეტი წელი. ნიკოლა სარკოზის დამარცხების შემდეგ, ისევ მემარცხენეები მოვიდნენ. ე.ი. ამ წლების განმავლობაში იცვლებოდნენ პრეზიდენტები, მაგრამ თუ პარტია იმარჯვებდა, იგი რჩებოდა ხელისუფლებაში. ასე უნდა იყოს საქართველოშიც. თუ საპარლამენტო არჩევნებში ისევ ნაციონალური მოძრაობა გაიმარჯვებს, ბუნებრივია, იგი დარჩება ხელისუფლებაში. ხოლო პრეზიდენტი, რომლის ვადაც 2013 წელს ამოიწურება, გადასცემს ძალაუფლებას მას, ვინც გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს არის ის, რაც თქვა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა.

- და ბოლოს, როგორი იქნება რუსეთის რეაქცია ამ მხარდაჭერაზე და რა საფრთხეები არსებობს?

- რუსეთი რომ საქართველოსთვის მუდმივი საფრთხეა, ეს აქსიომაა და რომ საქართველოს უსაფრთხოების გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მაქსიმალური დაახლოება დასავლეთთან, ესეც ფაქტია. არსებობს აზრი, რომ რუსეთი ისევ სამხედრო ძალას მიმართავს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის მიზნით. არა მგონია, რომ რუსეთმა კვლავ გაიმეოროს 2008 წლის აგვისტოს სცენარი. ვფიქრობ, ის შეეცდება, ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის გამოიყენოს ოქტომბრის არჩევნები, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის დახმარებით. თუმც, რუსეთმა ისიც იცის, რომ დასავლეთი ფხიზლად ადევნებს თვალს საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების მომენტს.

თუ ჩვენ თავად არ გამოვიჭრით ყელს, რაც ისტორიულად გვჩვევია, საქართველო ამ კრიზისსაც დაძლევს და ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა და მისი ნორმალური განვითარება შეუქცევად პროცესად იქცევა.

ესაუბრა
ქეთევან ქურდოვანიძე

რამაზ შენგელია საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს

ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი რამაზ შენგელია გუშინ საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს. მანამდე თბილისის სპორტის სასახლეში სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. სამძიმრის სათქმელად სპორტის სასახლეში იმყოფებოდნენ როგორც ვეტერანი ფეხბურთელები, ისე პოლიტიკოსები და რიგითი მოქალაქეები. პანაშვიდზე მივიდა «ქართული ოცნების» ლიდერი ბიძინა ივანიშვილიც.

"დღეს ჩვენ ვემშვიდობებით დიდ ფეხბურთელს და ნელ-ნელა ვემშვიდობებით იმ საყვარელ დროს. ჩემი და ჩემი თაობის ყველაზე დიდი ნაციონალური დღესასწაული იყო, როცა თასების მფლობელთა თასი ავიღეთ. საქართველოში ამხელა აღტყინება არ მახსოვს. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დღესასწაული იყო. რამაზი ძალიან დიდი ფეხბურთელი იყო. ძალიან განვიცდი და მძიმედ ვარ, როგორც მთელი საქართველო," - განაცხადა ივანიშვილმა.

წარსულში ცნობილი თავდამსხმელი, რომელიც ბოლო დრომდე ფეხბურთის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი იყო, 1957 წელს ქუთაისში დაიბადა. წლების განმავლობაში ქუთაისის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოში" თამაშობდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩატარებულ 26 შეხვედრაში გატანილი ჰქონდა 10 გოლი, ევროტურნირებზე ნათამაშებ 37 შეხვედრაში კი - 19 გოლი.

რამაზ შენგელია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ერთ-ერთი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, ასევე საბჭოთა კავშირის თასის გამარჯვებული, უეფა-ს თასების თასის მფლობელი და საბჭოთა კავშირის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი.

რამაზ შენგელია 21 ივნისს, 55 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

საქართველოს NDI-ს დელეგაცია ესტუმრა

გუშინ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაცია ეწვია. NDI-ს საქართველოს ოფისის ინფორმაციით, ვიზიტის მიზანია, საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში არსებული გარემოს შეფასება.

დელეგეციაში შედიან: მისურის შტატის მდივანი (შტატში არჩევნებზე პასუხისმგებელი არჩეული თანამდებობის პირი) რობინ კარნაჰანი; წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი და საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი სემ გეჯდენსონი; საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი (2006-2010) პერ ეკლუნდი, რომელიც ამჟამად სტოკჰოლმში უსაფრთხოებისა და განვითარების კვლევის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარია; NDI-ს პრეზიდენტი კენეთ ვოლაკი და NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო.

ხელისუფლებასთან, საარჩევნო კანდიდატებთან, პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო სექტორის, მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების საფუძველზე დელეგაცია შეაფასებს არჩევნებისთვის მზადების პროცესს, წინასაარჩევნო პროცესში აქტიურად ჩართული ძირითადი სუბიექტების პოლიტიკურ აქტივობებსა და ზოგადად საარჩევნო გარემოს.

29 ივნისს, მუშაობის დასრულების შემდეგ, NDI-ს დელეგაცია ანგარიშის სახით წინასაარჩევნო გარემოს შეფასების ძირითად დასკვნებს პრესკონფერენციაზე გამოაქვეყნებს. ანგარიშის გამოქვეყნებამდე დელეგაცია კომენტარს არ გააკეთებს.

"ქართულმა ოცნებამ" "კარდაკარ" დაიწყო

გუშინ კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" "კარდაკარის" კამპანია დაიწყო. ამის შესახებ "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ და "ქართული ოცნების" ერთ-ერთმა წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადეს.

ფანჯიკიძის თქმით, პროექტის მიზანია არჩევნების გაყალბების ფარული მეთოდების საწინააღმდეგო ხერხებით აუცილებელი მონაცემების მოპოვება.

"კარდაკარი" ერთდროულად 63 ოლქში დაიწყება და მთელ საქართველოს მოიცავს. პროცესში კოალიციის 10 ათასამდე აქტივისტი იქნება ჩართული. მათ ეცმევათ "ქართული ოცნების" ლოგოიანი მაისურები და ეკეთებათ მაიდენტიფიცირებელი სამკერდეები.

ფანჯიკიძის განცხადებით, "კარდაკარის" მიზანია ხმის უფლების მქონე პირების ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმება, საზღვარგარეთ მყოფი პირების, მოწყვლადი ჯგუფების, უმისამართო პირადობის მოწმობების მქონე და დუბლირებულ მისამართებზე მცხოვრები ამომრჩევლების გამოვლენა. ასევე, ამომრჩევლის მოსალოდნელი აქტივობის და განწყობის გაზომვა.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, "კარდაკარი" ორი კვირის მანძილზე გაგრძელდება და აქტივისტები გამოკითხვას დილის 10:00-დან 22:00 საათამდე აწარმოებენ.

ქუცნაშვილმა საქაღალდეც წარმოადგინა, რომლითაც აქტივისტები ივლიან და პოლიცია გააფრთხილა, რომ ამ საქაღალდეებს არ შეეხონ, რადგან ის კერძო საკუთრებაა და საკუთრების ხელყოფად ჩაითვლება.

ქუცნაშვილმა აღნიშნა, რომ "ქართული ოცნება" კანონმორჩილი კოალიციაა და გეგმებს მამუკა კაციტაძის სიების დაზუსტების კომისიას აცნობებენ.

საბანკო სექტორის რისკები და ძვირი ფული

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბანკები მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ საზოგადოებაში სერიოზული ანტისაბანკო გაწყობის ჩამოყალიბების საფრთხე არსებობს. პრეზიდენტის განცხადებით, ეკონომიკის განვითარებისთვის და მთავრობის მიერ აღებული სწრაფი განვითარების კურსთან შესაბამისობისთვის, ბანკებმა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების განაკვეთები უნდა შეამცირონ და ასევე მეტი სოციალური პასუხისმგებლობით მოეკიდონ პრობლემურ მსესხებლებს, რათა შედეგად ანტისაბანკო განწყობა არ მიიღონ.

დღეისათვის ბანკებთან მიმართებაში ქართველი მომხმარებლისთვის ყველაზე მწვავე პრობლემა სესხების დიდი განაკვეთია, რომელიც 14-დან 36 პროცენტამდე ადის. შესაბამისად, ბიზნესის კეთება ასეთი მარალპროცენტიანი სესხით, რთულია. მაგრამ, საბანკო სექტორი თავის რისკებსაც დებს. რისკები ბევრია და ამიტომაც ფულის სესხება - ძვირი. ქართული ბანკებიც ფულს უცხოური ბანკებისგან და კომპანიებისგან იზიდავენ, იძულებული არიან ფული უფო მარალ საპროცენტო განაკვეთში გაასესხონ. ეს კი ავტომატურად იწვევს მსესხებლის უკმაყოფილებას.

ბანკები, მსესხებლებთან მიმართებაში ასევე, მიმართავენ რესტრუქტურიზაციის მექანიზმს, რადგან, საერთო ჯამში, არანაირად არ აძლევთ ხელს მომხმარებლის ქონების დასაკუთრება - დღეისათვის ქვეყნის ლიდერ ბანკებს ბევრი უძრავი ქონება დაუგროვდათ სარეალიზაციოდ და მათი მთლიანად გასაყიდად გამოტანა რადიკალურად შეცვლის უძრავი ქონების ბაზარს, გამოიწვევს უძრავ ქონებაზე ფასების დაწევას.

საზოგადოებაში "ანტისაბანკო განწყობების" ჩამოყალიბების მთავარ მიზეზად საპარლამენტო უმრავლესობა დაუსაბუთებელი ბიზნეს-პროექტების დაფინანსებას ასახელებს. პავლე კუბლაშვილის თქმით, რომლის კომიტეტიც, პრეზიდენტის განცხადების მიუხედავად, სესხის ამოღების პროცედურების გამარტივების ინიციატივით გამოდის, "ბუნებრივია, ბანკს უნდა ჰქონდეს ბერკეტი იმისა, რომ თუკი დავალიანების მქონე პირი თანხას ვერ იხდის, ვალი ამოიღოს, მაგრამ მთავარია, რომ პირველივე ეტაპზე, როდესაც კონკრეტული ბიზნეს-პროექტების დაფინანსება და სესხის გაცემა ხორციელდება, საკითხის უფრო დიდი ყურადღებით შესწავლა მოხდეს და არ იყოს სიტუაცია, როდესაც თანხების გაცემა დაბალი უზრუნველყოფით ხდება და იწვევს შედეგს, რაზეც პრეზიდენტმა ისაუბრა".

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ბანკის კრედიტორს სესხის დაფარვის ვადის 15-დღიანი გადაცილების შემთხვევაში აღსრულების ბიურო ბინას აუქციონზე ავტომატურად გაუყიდის. კანონპროექტით ბანკი ვალდებული ხდება უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში შეტყობინება აღსრულების ბიუროს დაუყოვნებლივ მიაწოდოს მაშინ, როცა აქამდე ეს შეტყობინება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა რესურსის ამოწურვის შემდეგ იგზავნებოდა.

საბანკო ექსპერტ გიორგი აბაშიშვილის განცხადებით რაც შეეხება ვალში წაღებულ ბინებს, ბანკებს თავად არ უღირთ უძრავი ქონების პირდაპირ აუქციონზე გატანა, რადგან დღეს საცხოვრებელი ფართების ღირებულება დაბალია და უფრო მომგებიანია კრედიტორებს სესხები გაუგრძელონ. მისივე თქმით, 2008 წლის კრიზისის შემდეგ ბანკებს და ბიზნესს შორის ურთიერთობები სახელმწიფოს ჩარევით მოგვარდა: მერიის ინიცირებული ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის პროგრამის ფარგლებში სამშენებლო ბიზნესში რიგი კომპანიები გაკოტრებას გადაურჩნენ.

საინფორმაციო ანალიტიკური პორტალის "ბი პი აის" დირექტორის ირაკლი ღექვინაძის განცხადებით, "ერთადერთი ბანკი საქართველოში, რომელიც მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას იჩენდა როგორც კორპორატიული, ასევე ინდივიდუალური კლიენტების მიმართ, არის ბანკი "რესპუბლიკა", ამიტომაც იყო, რომ გასულ წელს საკმაოდ სოლიდური ზარალი ქონდა".

განსხვავებული პოზიცია აქვს და პრეზიდენტს ეთანხმება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში შოთა მურღულია. მისი თქმით, "დღეისათვის, კრედიტებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები უნდა შემცირდეს. ის, რაც პრეზიდენტმა თქვა, რეალურად პრობლემას მართლა წარმოადგენს. ფაქტია, რომ ბანკები დღეს დიდ მოგებაზე მუშაობენ. რა შეიძლება, იყოს კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიზეზი? - ეს შეიძლება, კონკურენციის არარსებობით ან კიდევ ბიზნესში არსებული მაღალი რისკებით იყოს გამოწვეული. ბუნებრივია, მთავრობა ამ უკანასკნელს არ აღიარებს, ამიტომ რჩება პირველი ვარიანტი. ძვირი ფული კი ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლის. რაც შეეხება გამოსავლის გზებს, ვფიქრობ, საპროცენტო განაკვეთების შემცირება დირექტივების შედეგად არ უნდა მოხდეს და ეს რეალური კონკურენტული გარემოს შექმნამ უნდა უზრუნველყოს".

დღეისათვის საქართველოში გამოკვეთილად ორი ძლიერი ბანკი ოპერირებს - პირველ ადგილზეა "საქართველოს ბანკი", შემდეგ კი "თიბისი ბანკი". ამდენად, აღნიშნულ ბანკებს უფრო მეტი აქტიურობა აქვთ, უფრო მარტივად გასცემენ სესხებს, მათი კაპიტალი უფრო დიდია და ამიტომაც უფრო მეტი ქონება დაუგროვდათ.

ქართული ბანკები პრეზიდენტის ბრალდებებს არ ეთანხმებიან და სოციალური ფონის დამძიმებაში საკუთარ წვლილს უარყოფენ. პრეზიდენტის განცხადების პასუხად "თი ბი სი ბანკში" აცხადებენ, რომ პრობლემური სესხების რესტრუქტურიზაციას ინტენსიურად ახდენენ. "თიბისი ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის განცხადებით, პრობლემურ კლიენტებს "თიბისი» ხშირად სთავაზობს სესხის დაფარვის ახალ გრაფიკს, მეტიც: მათი მტკიცებით, არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებელს ჯარიმებსაც პატიობენ და თანხის გადახდას მაქსიმალურად უადვილებენ. "თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი შაგიძის განცხადებით, უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში "თიბისი ბანკი» სესხებზე საპროცენტო განაკვეთების რადიკალურ შემცირებას არ გეგმავს. მომავალში, სავარაუდოდ, შესაძლოა, სესხებზე საპროცენტო განაკვეთები დავწიოთ, მაგრამ უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმას არ ვაპირებთ. ფაქტია, რომ ეკონომიკის განვითარებასა და ზრდასთან ერთად საპროცენტო განაკვეთები დაბლა იწევს და 2009 წელთან შედარებით საკმაოდაა დაწეული. დღეისათვის კი, ბიზნეს-სესხებზე განაკვეთები 12.5 -13.5 პროცენტიდან იწყება და ზევით ადის. სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. მათ შორის, დეპოზიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად, ბანკები როცა ძვირად იზიდავენ თანხებს, იძულებული არიან, სესხებიც ძვირად გასცენ. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთებზე გავლენას საერთაშორისო ბაზარზე არსებული მდგომარეობაც ახდენს».

"საქართველოს ბანკის" განერალური დირექტორის ირაკლი გილაურის განცხადებით, "ეს მუდმივი პროცესია და ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე, ანუ იმაზე, თუ რა განაკვეთით შეუძლია ქვეყანაში ოპერირებად ბანკს ფულის სესხება უცხოეთში; ბანკის დონეზე, სესხების და დეპოზიტების განაკვეთების ურთიერთშეფარდებაზე; თავად ბიზნესის მიერ წარდგენილი საკრედიტო განაცხადის ხარისხზე. გარდა ამისა, საქართველოში ოპერირებად ბიზნესებს დიდი ხნის ისტორია არ აქვთ, როგორც უცხოეთში და ამიტომ ქართული ბანკისთვის რთულია კონკრეტული ბიზნესის განვითარების პოტენციალის პროგნოზირება".

ბანკი "რესპუბლიკას" განცხადებით, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საბაზისო საპროცენტო განაკვეთად 2012 წელს 12 პროცენტს შეინარჩუნებენ. ბანკის მენეჯმენტი "კომერსანტთან" განმარტავს, რომ მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილია მცირე და საშუალო ბიზნესის წასახალისებლად შეღავათიანი აქციები. მათივე თქმით, მსესხებლები ისარგებლებენკლიენტზე მორგებული გადახდის გრაფიკით და საშეღავათო პერიოდებით.

შეგახსენებთ, რომ საბანკო დავალიანების პრობლემა განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ დამძიმდა და იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ბანკებს მომხმარებლისთვის შეღავათის გაწევისკენ პატრიარქმაც კი მოუწოდა.

"კავკასიის უნივერსიტეტმა" 15 ქვეყნის დელეგაციას უმასპინძლა

კავკასიის უნივერსიტეტმა "NIBES"-ის საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ შეკრებას უმასპინძლა. 3-დღიანი ღონისძიება სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" მიმდინარეობდა, სადაც "NIBES"-ის წევრმა, ბიზნესისა თუ ეკონომიკის თხუთმეტი სკოლის დეკანმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარა და მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გეგმა განიხილა.

"NIBES"-ი ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების საერთაშორისო ასოციაციაა, რომელში გაწევრიანებაც ქვეყნიდან მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს შეუძლია. კავკასიის უნივერსიტეტი ასოციაციაში 2007 წელს, ჰიროსიმაში გამართულ მე-11 წლიურ შეხვედრაზე მიიღეს. "NIBES"-ის მიზანი წევრ ინსტიტუტებს შორის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლის, კვლევებისა თუ ერთობლივი აკადემიური პროგრამების მხარდაჭერაა.

"ჩვენი ასოციაციის წევრებისთვის თქვენს ქვეყანაში გამართული შეკრება საუკეთესო შესაძლებლობაა, რომ საქართველოსი განათლების მაღალი დონე არმოაჩინონ. ვფიქრობ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დავბრუნდებით, შესაძლებლობა მოგვეცემა, ხელი შევუწყოთ საქართველოში ბიზნეს-განათლების დონის ამაღლებას და სტუდენტების გაყვანას სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მიზნით... ყოველწლიურ შეკრებაზე ვმუშაობთ, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა სიახლე, მაგალითად, როგორიცაა ხარისხი და ვთანხმდებით ასოციაციის სამუშაო ჯგუფის მიზნებზე. ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ ორმაგი ხარისხის პროგრამების განვითარებას, რასაც წლების მანძილზე ვაკეთებდით. ჩემი საქმე არ არის, კავკასიის უნივერსიტეტს მივუთითო, თუ რა გააკეთოს, მაგრამ ვურჩევ, განაგრძოს საერთაშორისო ურთიერთობები. ვიცი, უნივერსიტეტის პრეზიდენტი და მთელი ადმინისტრაცია ძალიან ბევრს შრომობენ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ სტუდენტების გამოცდილებას. ისინი მართლაც ამზადებენ ისეთ მომავალ თაობას, რომლებსაც შესაძლებლობა ექნება, გლობალურ გარემოში იმუშაოს," - განაცხადა კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო განვითარების სკოლის დეკანმა მაიკლა ბრაიანმა.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის კახა შენგელიას განცხადებით, "NIBES"-ის საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ შეკრებაზე პარტნიორებთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში დანიაში, ამერიკაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ინგლისსა და პორტუგალიაში უფრო მეტი გაცვლითი პროგრამები განხორციელდება. **"დარწმუნებული ვარ, ეს გაცვლითი პროგრამები კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას, განათლებასა და სტუდენტებს... რაც შეეხება კონფერენციას, ეს ჩვენი უნივერსიტეტის და, ამ შემთხვევაში, კავკასიის ბიზნესის სკოლის კიდევ ერთი დაფასებაა. "NIBES" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გაერთიანებაა, რომლის წევრები არიან მაღალი დონის ბიზნესსკოლები ყველა კონტინენტიდან. მისი წევრობა ხარისხის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია ჩვენი უნივერსიტეტისა და ბიზნესსკოლისათვის,"** - აცხადებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია.

ბიზნესისა და ეკონომიკური სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ შეკრებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე ესწრებოდა. მისი განცხადებით, **"ასეთი მაღალი რანგის ღონისძიების საქართველოში ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, ეს დიდი პატივია ქვეყნისთვის, და მეორე - მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კავკასიის უნივერსიტეტი, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მასპინძლობს შეხვედრას, სადაც ხდება იდეების გაზიარება, კურიკულუმების შეჯერება, საერთო სტრატეგიის შემუშავება. ვფიქრობ, საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა განათლების სფეროში - ჩვენი ქვეყნისათვის წარმატებული ნაბიჯია. განათლებული თაობა, განათლებული სტუდენტები ჩვენი ქვეყნის მომავალია."**

"NIBES" ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია, ამჟამად 22 აქტიური წევრი ჰყავს. მათ შორის: კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლა, ფორცჰაიმის უნივერსიტეტი, ჰიროსიმას ეკონომიკის უნივერსიტეტი, კრაკოვის ეკონომიკური უნივერსიტეტი, ბრიგჰემ იანგის უნივერსიტეტი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ "NIBES" ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიური შეკრება კავკასიის უნივერსიტეტმა კომპანია "თელიანი ველის" ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა.

ეგვიპტეში მურსის გამარჯვება აღიარეს

ივა შილაკაძე

გუშინ ეგვიპტის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, როგორც იქნა, გამოაცხადა საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებული. ამ თანამდებობას დაიკავებს ზომიერი ისლამისტების წარმომადგენელი, "თავისუფლების და სამართლიანობის პარტიის" (პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" პოლიტიკური ფრთა ეგვიპტეში) ლიდერი მოჰამედ მურსი.

საარჩევნო კომისიის ცნობით, მურსიმ მეორე ტურში ხმების 51,7 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა კონკურენტმა, ყოფილმა პრემიერმა მუბარაქის მმართველობის ბოლო პერიოდში აჰმედ შაფიკმა - 48,3 პროცენტი. შედეგების გამოცხადება პირდაპირ გადაიცემოდა "თაჰრირის" მოედანზეც, სადაც მურსის ათობით ათასი მომხრე იყო შეკრებილი. იქ ამ ცნობას ოვაციებით შეხვდნენ და საყოველთაო ზეიმიც დაიწყეს.

კაიროში გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობას ტანკები იცავენ. სამხედროებმა საპრეზიდენტო კანდიდატებს და ხალხს ჯერ კიდევ პარასკევს მოუწოდეს, ეღიარებინათ ის შედეგები, რომელსაც საარჩევნო კომისია გამოაცხადებდა. სხვათა შორის, შაფიკი ამბობდა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ შედეგებს აღიარებდა. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ მანამდე ორივე კანდიდატი საკუთარ გამარჯვებაზე საუბრობდა, ხალხის დიდი ნაწილი კი ქუჩაში იყო გამოსული და მურსის გამარჯვების აღიარებას ითხოვდა.

ის, რომ მურსიმ არჩევნები მოიგო, ბოლო დღეებში უკვე აშკარად იგრძნობოდა, მაგრამ თავს ვერავინ დადებდა იმაზე, თუ რა შედეგებს გამოაცხადებდა საარჩევნო კომისია. ამაზე მიუთითებდა როგორც შედეგების გამოცხადების გადადება (კანონით, ეს 21 ივნისს უნდა მომხდარიყო), ასევე სამხედრო საბჭოს მიერ პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა, დროებითი კონსტიტუციის თავზე მორგება, პარლამენტის ფუნქციების შეთავსება (ეს ჯერ კიდევ მეორე ტურამდე მოხდა) და სხვა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მურსი პირველ ტურშიც ლიდერობდა ერთი პროცენტით და სხვა კანდიდატების უმრავლესობაც, ვინც მეორე ტურში ვერ მოხვდა, ისლამისტი იყო. ბოლო დღეებში მოჰამედ მურსიმ შეარბილა თავისი რელიგიური რიტორიკა და ლიბერალების დიდი ნაწილის მხარდაჭერაც მიიღო.

შედეგების გამოცხადებით ეგვიპტეში ჯერ არაფერი მთავრდება. საზოგადოება ორად არის გაყოფილი, ძირითადად, ისლამისტებად და სამოქალაქო მმართველობის მომხრეებად; ამას გარდა, მოსაგვარებელია არჩეული სამოქალაქო ხელისუფლებისა და სამხედროების ურთიერთობაც. მათ ძალიან დიდი უფლებები "მიიტაცეს" (კონსტიტუციის დაწერა და მის მუხლებზე ვეტოს დადება, საკანონმდებლო ფუნქციები ახალი პარლამენტის არჩევამდე, ბიუჯეტის მართვა, ომის გამოცხადება და ზავის დადება, და სხვა) და ძალაუფლებისთვის მძიმე ბრძოლა გაგრძელდება. ხალხი სამხედროებს მოუწოდებს, საკუთარ საქმეს მიხედონ და პოლიტიკურ ფუნქციებზე უარი თქვან.

60 წლის მოჰამედ მურსი პროფესიით ინჟინერია, განათლება აშშ-ში აქვს მიღებული. 2000-2005 წლებში იყო პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი. 2011 წელს აირჩიეს "თავისუფლების და სამართლიანობის" პარტიის ლიდერად. ის დიდი ხანი იყო მოძრაობა " მუსულმანი ძმების" ერთ-ერთი ლიდერი, თუმცა ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. ზოგიერთ მიმომხილველს მიაჩნია, რომ მას ქარიზმა აკლია. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მურსი მოძრაობის "სარეზერვო" კანდიდატი იყო. პარტიამ იგი მას შემდეგ დაასახელა, რაც არჩევნებს ჩამოაშორეს ჰაირატ შატერი (ფორმალური მიზეზი გახდა ნასამართლეობა მუბარაქის მმართველობის დროს). მურსი იძლევა პირობას, რომ ყველა მუსულმანის პრეზიდენტი გახდება და ეგვიპტის საზოგადოების ერთიანობის მისაღწევად იბრძოლებს.

"თურქებს ევროკავშირში ცხოვრება აღარ სურთ"

თამთა კახაძე

თურქეთი აგერ უკვე მერამდენე წელიწადია ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ მიისწრაფვის, თუმცა ამ დრომდე მას ამ ორგანიზაციაში შესვლისათვის მთელი რიგი პირობები აქვს დასაკმაყოფილებელი.

თურქეთის განცხადებით, მომავალში ევროპაში უვიზო მიმოსვლა კარგად იმუშავებს იქიდან გამომდინარე, რომ თურქებს ევროკავშირში ცხოვრება აღარ სურთ. გასულ კვირას ევროკავშირი 2014-2015 წლებისათვის თურქეთთან უვიზო მიმოსვლის გეგმაზე შეთანხმდა.

ევროკავშირის საქმეების მინისტრმა ეგემან ბაგისმა EUobserver-ს პარასკევს, 22 ივნისს განუცხადა, რომ დღევანდელ დღეს თურქები ევროპაში იმისათვის მიემგზავრებიან, რათა იქ სასტუმროებსა და მაღაზიებში "ფული დახარჯონ."

"წარსულში, როდესაც თურქებს ეკითხებოდნენ, სურდათ თუ არა ევროპაში ცხოვრება, 80 პროცენტი დადებით პასუხს სცემდა. ახლა კი ამ კითხვაზე 85 პროცენტი უარყოფითად პასუხობს. თურქეთის მოსახლეობა გრძნობს, რომ საკუთარ ქვეყანაში სამსახურის დაწყების უკეთესი შესაძლებლობები აქვთ," - აცხადებს თურქი მინისტრი. ბაგისის თქმით, ის 5,5 მილიონი ადამიანი, რომელიც ამ დროისთვის ევროკავშირის ქვეყნებში ცხოვრობს, თურქეთში დაბრუნებაზე ფიქრობს, რათა საკუთარ შვილებს ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნას.

ბაგისის ამ განცხადებას საფუძვლად ეკონომიკური მონაცემები უდევს. მაშინ, როდესაც ევროზონა სერიოზულ კრიზისს განიცდის, თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად იზრდება.

ვიზების ხელშეკრულებასთან ერთად, თურქეთმა სერიოზული ზომები უნდა მიიღოს პაკისტანიდან და ჩინეთიდან მიგრანტების შესაჩერებლად, რომელთაც ევროპაში შესვლა სურთ. ბაგისის თქმით, თურქეთი 50 000-კაციან ძლიერ სასაზღვრო პოლიციას, დაკავების ცენტრებსა და "ახალ გალავნებს" შექმნის. ამ დროისათვის თურქეთი წელიწადში 70 000 ადამიანს აჩერებს, რომელთაც საბერძნეთსა და ბულგარეთში სურთ გადასვლა. მინისტრის თქმით, ახალი ზომების მიღებით ეს რაოდენობა გაორმაგდება და გასამმაგდება კიდეც. ბაგისის თქმით, ამ დროისათვის 30 000 სირიელი ლტოლვილი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ბანაკებს აფარებს თავს. თურქი სამხედროები კი ზრუნავენ, რომ მათ ადგილი არ შეიცვალონ და არც იარაღი მოხვდეს მათ ხელში.

ვიზებთან დაკავშირებულ ახალ შეთანხმებასთან ერთად, თურქეთი ევროპოლთან ხელს მოაწერს ხელშეკრულებასაც "ოპერაციული თანამშრომლობის შეთანხმებ". გასულ წელს ბრიტანელი პარლამენტარების მიერ შედგენილ მოხსენებაში საუბარი იყო, რომ თურქეთში დაარსებული კრიმინალური ჯგუფები მზარდ საფრთხეს წარმოადგენს ევროკავშირის უსაფრთხოებისათვის ჰეროინისა და კოკაინის გავრცელების, აგრეთვე, ადამიანებით ვაჭრობის კუთხით. მათი თქმით, ბანდებს საქმიანობაში ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ ამ ქვეყანასთან ცნობების გაცვლა ნაკლებად ხდება, მაგალითად, ეჭვმიტანილების პირადი მონაცემების შესახებ.

ბიზნესი

Moody's-მა 15 საერთაშორისო ბანკს რეიტინგი შეუმცირა

თინა შავაძე

საერთაშორიოს საგენტომ Moody's-მა მსოფლიოს 15 მსხვილ ბანკს საკრედიტო რეიტინგი შეუმცირა.

სააგენტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ ამჯერად რეიტინგების დაცემა ამერიკულ Bank of America-ს, Citibank-ს, Goldman Sachs-ს და JPMorgan-ს, ბრიტანულ HSBC-ს, Barclays-ს და Royal Bank of Scotland-ს, ფრანგულ BNP Paribas-ს, შვეიცარულ Credit Suisse-სა და გერმანულ Deutche Bank-საც შეეხო.

ოთხი ბანკის რეიტინგი - ერთი საფეხურით, 10 ბანკის რეიტინგი - ორი საფეხურით, ხოლო Credit Suisse-ის რეიტინგი სამი საფეხურით ჩამოქვეითდა.

სააგენტოს ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რეიტინგის შემცირების მთავარი მიზეზი ბანკების ფინანსური არასტაბილურობა და მნიშვნელოვანი დანაკარგები გახდა.

გლობალური და ევროპული ფინანსური ინსტიტუტების რეიტინგების ფართომასშტაბიანი გადასინჯვა Moody's-მა 2012 წლის თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყო.

საერთო ჯამში, 100-მდე ბანკის რეიტინგი გადაიხედა.

მაისში Moody's-მა რეიტინგი შეუმცირა ესპანეთის 16 ბანკს - მათ შორის, ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტების ძირითად ბანკებს Santander-სა და BBVA-ის.

ტელეკომპანია CNBC-ის ინფორმაციით, სააგენტომ Santander-ის გრძელვადიანი რეიტინგი ორი საფეხურით დაუქვეითა, ხოლო BBVA-ს - სამით. ახლა ისინი A3-ის დონეზე არიან და «ნეგატიური" პროგნოზი აქვთ მინიჭებული. რეიტინგი ასევე შემუცირდა Santander-ის შვილობილ ბანკს დიდ ბრიტანეთში.

Moody's-მა 9 ბანკის დავალიანებისა და სადეპოზიტო რეიტინგი სამი საფეხურით დაწია, ასევე სააგენტომ 3 ბანკის რეიტინგი - ორი საფეხურით, ხოლო ერთი ბანკის ხუთი საფეხურით დააქვეითა.

სააგენტოს განცხადებით, ესპანური ბანკების რეიტინგის შემცირება მათი არასტაბილური ფინანსური მდგომარეობით და აქტივების შემცირებით არის გამოწვეული.

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ივნისში მთელი რიგი საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთსა და ბენელუქსის ქვეყნებში.

კერძოდ, რეიტინგი პრიორიტეტულ ვალებთან და დეპოზიტებთან მიმართებით ავსტრიულ ბანკ Raiffeisen Bank International-ს (RBI) ერთი საფეხურით - A1-დან A2-მდე "სტაბილური" პროგნოზით შეუმცირდა. ასევე რეიტინგი შეუმცირდა UniCredit (UBA)-ს A2-დან A3-მდე, ხოლო Erste Bank Group AG-ს ორი საფეხურით - A1-დან A3-მდე. ორივე ავსტრიულ ბანკს პროგნოზი "ნეგატიურით" შეეცვლა.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადეპოზიტო რეიტინგი გერმანულ Commerzbank-ს ერთი საფეხურით - A2- დან A3-მდე დაუქვეითდა, ხოლო პროგნოზი "სტაბილური" "ნეგატიურით" შეეცვალა.

გარდა ამისა, სიაში მოხვდნენ: DekaBank Deutsche Girozentrale; DZ BANK Deutsche Zentral-Genossenschaftsbank; Landesbank Baden-Wuerttemberg; Norddeutsche Landesbank GZ და Unicredit Bank AG-ი. ასევე, სააგენტომ ამ ბანკების საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი ფილიალების რეიტინგი შეამცირა.

Moody's-ის ანალიტიკოსებმა აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად ევროპის ვალის კრიზისით გამოწვეული რისკები დაასახელეს.

ბელარუსმა ვენესუელური ნავთობის რუსულით ჩანაცვლება გადაწყვიტა

თინა შავაძე

სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, ბელარუსის ვიცე-პემიერმა ვლადიმირ სემეშკომ განაცხადა, რომ ოფიციალური მინსკი ვენესუელადან ნავთობს აღარ შეისყიდის, რადგან ამ ეტაპზე რუსეთიდან ნედლეულის შემოტანა "საკმაოდ მომგებიანია".

ბელსრუსის ვიცე-პემიერი ვენესუელადან ბელარუსში ნავთობის იმპორტის მიზანშეუწონლობაზე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ საუბრობდა - მაშინ ვლადიმირ სემეშკო ლათინური ამერიკიდან ნედლეულის ტრანპორტირების შეჩერების შესახებ მასმედიაში გაკეთებული განცხადებების პასუხად აცხადებდა, რომ აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო მიიღებდა.

აღსანიშნავია, რომ ბელარუსის ვენესუელასთან შეთანხმებების თანახმად, ბელარუსში 2010 წლის დასაწყისში ყოველდღიურად 80 ათასი ბარელი ნავთობი უნდა შესულიყო.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ნედლეულის ექსპორტზე გადასახადები შემოიღო, მინსკმა კარაკასთან დაიწყო მოლაპარაკებები. იმავე 2010 წლის ბოლოს მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას 2011-2013 წლებში 30 მილიონი ტონა ნავთობის მიწოდების შესახებ.

ალექსანდრ ლუკაშენკო და ასევე სახელისუფლებო ექსპერტები შეთანხმების პირობებს მომგებიანად აფასებდნენ, თუმცა დამოუკიდებელი ანალიტიკოსები ექსპორტს - გაუმჭვირვალედ, ხოლო მის რენტაბელობას საეჭვოდ მიიჩნევდნენ. პროექტს, უმეტეს შემთხვევაში, პროპაგანდისტულს უწოდებდნენ. ამასთან, რუსეთი კარგად დაინახავს, რომ ბელარუსს არსებობა რუსული ნედლეულის გარეშეც შეუძლია.

შედეგად, რუსეთმა გასული წლის იანვრის ბოლოს ბელარუსში საბაჟო გადასახადების გარეშე ნავთობის გადაზიდვა დაიწყო.

თურქეთი ნატო-ს კონსულტაციას ითხოვს

პირველი გვერდიდან

პარასკევს ინციდენტი მოხდა. თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელი "ფანტომი"-ფ-4 დავალების შესასრულებლად აფრინდა სამხედრო ბაზა ერხაჩიდან, რომელიც მალათიის პროვინციაში მდებარეობს. ის ხმელთაშუა ზღვის თავზე, სირიის საზღვართან ახლოს რადარებიდან გაქრა. ოფიციალური დამასკო აღიარებს, რომ თვითმფრინავი ჩამოაგდო. სირიელი სამხედროების თქმით, მათ დააფიქსირეს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი და, შესაბამისად, მისი ჩამოგდების გადაწყვეტილება მიიღეს. მხოლოდ სროლის შემდეგ დააფიქსირეს, რომ ეს იყო თურქული სამხედრო თვითმფრინავი. მათი სიტყვებით, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ თვითმფრინავი ჩამოაგდო სირიის ტერიტორიული წყლების თავზე, ნაპირიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში, შემდეგ თვითმფრინავმა კიდევ ათიოდე კილომეტრი იფრინა და ზღვაში ჩავარდა.

თურქეთის მხარე არ უარყოფს, რომ მათი სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელმა ცოტა ხნით, შემთხვევით დაარღვია სირიის საჰაერო სივრცე. მფრინავებმა ამის შესახებ გაფრთხილება საკუთარი ავიადისპეტჩერისგან მიიღეს და ზონიდან გამოვიდნენ, სირიელებმა კი თვითმფრინავი ჩამოაგდეს უკვე საერთაშორისო საჰაერო სივრცეში. ეს ინფორმაცია თურქეთის მხრიდან კვირას დაზუსტდა. მანამდე როგორც სირიის, ასევე თურქეთის მხრიდან საკმაოდ თავშეკავებული განცხადებები კეთდებოდა. ორი სახელმწიფოს სამხედროები ერთობლივ საძიებო-სამაშველო ოპერაციას ატარებენ, თუმცა უკვალოდ დაკარგული პილოტების ცოცხლად პოვნის რეალური შანსი უკვე თითქმის აღარ არის, რადგან გუშინ ორი დღე-ღამე იყო გასული ინციდენტის შემდეგ. ზუსტად არც ის არის ცნობილი, მოასწრეს თუ არა მათ კატაპულტირება. კვირას თურქული მედიის საშუალებით გავრცელდა ცნობა ზღვაში 1300 მეტრის სიღრმეზე ავიაგამანადგურებლის ნამსხვრევების პოვნის თაობაზე, თუმცა მოგვიანებით ეს ინფორმაცია უარყო თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. მათი სიტყვებით, იციან მხოლოდ თვითმფრინავის ჩამოვარდნის კოორდინატები, ნამსხვრევები ალბათ სწორედ იქ არის, 1300 მეტრის სიღრმეზე, მაგრამ ისინი ნაპოვნი არ არის.

ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ახმეტ დავუთოღლუს სიტყვებით, თვითმფრინავი სასწავლო ფრენას ახორციელებდა, მოწმდებოდა საკუთარი რადიოსალოკაციო სისტემა და პილოტების ფუნქციებში არ შედიოდა სირიასთან დაკავშირებით რაიმე ამოცანის შესრულება. მან დასძინა, რომ საერთოდ, სხვა ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის განსახორციელებლად ერთი ავიაგამანადგურებელი, და ისიც შეიარაღების გარეშე, არ იგზავნება.

შაბათსვე გაეროს გენერალურმა მდივანმა შეაქო ორივე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები გამოჩენილი თავშეკავებისა და ერთობლივი სამაშველო ოპერაციის გამო. თავის მხრივ, ბან კი მუნი მათ ამ რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად ყოველგვარ დახმარებას შეჰპირდა და მხარეებს მოუწოდა, ინციდენტი დიპლომატიური გზებით გადაწყვიტონ.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ მშვიდობიანობის დროს გაფრთხილების გარეშე თვითმფრინავის ჩამოგდება ნორმალური მოვლენა არ არის და სირიას ადეკვატურ პასუხს გასცემენ. თურქეთის ბოლო მკაცრ განცხადებებზე ოფიციალური დამასკოს რეაქცია ჯერ ცნობილი არ არის. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შაბათს და კვირას გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს დიპლომატიური უწყებების ხელმძღვანელებთან კონსულტაციები გაიარა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა ღიად დაგმო სირიის მოქმედება. მისი სიტყვებით, "ასადის რეჟიმი არ უნდა ფიქრობდეს, რომ შეუძლია დაუსჯელად იმოქმედოს. მას თავისი საქციელისთვის პასუხი მოეთხოვება."

თურქეთმა გუშინ, ნატო-ს ხელშეკრულების მეოთხე პუნქტის თანახმად, ნატო-ს საბჭოს ფარგლებში სასწრაფო კონსულტაციები მოითხოვა. წესდებით, ნებისმიერ წევრს აქვს ამის უფლება, როდესაც მის უსაფრთხოებას რამე ემუქრება. საბჭოს სხდომა სამშაბათს არის დანიშნული. დღეს ინციდენტის შესახებ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები იმსჯელებენ. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ნატო ამ ინციდენტის სირიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის გასახორციელებლად გამოყენებას აპირებს.

თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა განაცხადა, რომ სირიას აუცილებლად გასცემენ პასუხს იურიდიულ სივრცეშიც, როგორც კი ყველაფერი გაირკვევა. პრემიერი რეჯებ ტაიპ ერდოღანი კი აპირებს, სამივე ოპოზიციური პარტიის ლიდერებს შეხვდეს, რათა სირის წინააღმდეგ სამოქმედოდ მათი მხარდაჭერაც მოიპოვოს.

სირიასთან დაკავშირებით გუშინ კიდევ რამდენიმე ინფორმაცია გავრცელდა. ამ ქვეყნის ოფიციალური პირების ინფორმაციით, არმიამ შეძლო, თურქეთის ტერიტორიიდან "ტერორისტული ჯგუფის" გადასვლის მცდელობა მოეგერიებინა, რასაც რამდენიმე ტერორისტი ემსხვერპლა. თურქეთში მდებარეობს "სირიის თავისუფალი არმიის" შტაბ-ბინა და, სავარაუდოდ, მათი მოსამზადებელ ბაზაც.

გემი "ალაედი", რომელსაც სირიისკენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები და გარემონტებული საბრძოლო ვერტმფრენები მიჰქონდა და რომელიც დიდი ბრიტანეთის ნაპირებიდან უკან მიაბრუნეს (ეს კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისთვის), გუშინ მურმანსკში ჩავიდა. ოფიციალური ინფორმაციით, გემი გამოიცვლის დროშას, მასზე რუსულ დროშას აღმართავენ და ის ვლადივოსტოკისკენ აიღებს კურსს. სხვა არაოფიციალური ცნობით, რუსეთი მაინც შეეცდება, ის ისევ სირიისკენ წაიყვანოს. რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც დაადასტურა, რომ ტვირთი სირიას ეკუთვნის და რუსეთი მას საკუთარ საქონელს სხვა გზით მაინც მიაწვდის.

გუშინვე რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსკოვი ასადის გადასარჩენად "საიდუმლო გეგმას" ამუშავებს. ეს გეგმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას გულისხმობს. ანონიმი რუსი დიპლომატების აზრით, გეგმის განხორციელების შემთხვევაში საგარეო ჩარევის საშიშროება მოიხსნება, ასევე ოპოზიციას ასადზე აქტიური შეტევის საბაბი არ ექნება, თუმცა თვით რუსი დიპლომატები არ არიან დარწმუნებულები, რომ ბაშარ ასადს ამ გეგმაზე დაითანხმებენ.

ლუბა გოლოვინა
ბატუტზე ხტომა

BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ
საქართველოს სპორტსმენების
წარმატებას 2012 წლის ლონდონის
ოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

რაიონული სასამართლოების გამამართლებელი განაჩენები

გორის რაიონულმა სასამართლომ ქურდობაში ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა.

ზაქარია ბურნაძეს ბრალად ედებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რის გამოც მას ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ელოდა.

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებათა ნუსხა დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებმა სადავოდ გახადეს.

საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული იქნა სადავო მტკიცებულებები, დაიკითხნენ მოწმეები. ვინაიდან, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა ბრალდებულის მიერ ვალერიან ოქროპირიძის ბინის გაქურდვა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და უტყუარი ზაქარია ბურნაძის ბრალის დასადასტურებლად. ამასთან, გათვალისწინებული იქნა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საბოლოოდ, გორის რაიონულმა სასამართლომ ზაქარია ბურნაძე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კი ბრალდებული იზოლდა სიჭინავა ცნო უდანაშაულოდ. გამოძიება მას ყალბი საგადასახადო დოკუმენტის - უნომრო საქონლო ზედნადების დამზადებასა და გასაღებას ედავებოდა. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით და ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე ვადით.

სასამართლო განხილვების დროს დადგინდა, რომ სიჭინავა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით არ წარმოადგენდა დანაშაულის სუბიექტს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებული გათავისუფლდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

ქართული მართლმსაჯულების წარმომადგენლები JUSPAL-ის კონფერენციებზე

საქართველოს სასამართლოების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ჰააგაში გამართულ JUSTAL-ის კონფერენციებზე.

JUSTAL-ი წარმოადგენს მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ინფორმაციისა და გამოცილების გაზიარებას, სტანდარტების დადგენასა და მათი შესრულების შეფასების მექანიზმების შემუშავებას.

7-8 ივნისის კონფერენცია ეძღვნებოდა შემდეგ თემას: "სასამართლო ხელისუფლების დაფინანსება".

11-12 ივნისის კონფერენცია ეძღვნებოდა შემდეგ თემებს: "სასამართლო ხელისუფლების სექტორის საქმიანობის მენეჯმენტი და შეფასება: საუკეთესო პრაქტიკა და გამოწვევები"; "სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერება".

საქართველოს სასამართლოების წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვნენ ორივე კონფერენციაში, წარმოადგინეს პრეზენტაციები ქართულ გამოცდილებასთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღეს დისკუსიებში. კონფერენციებზე მოპოვებული ინფორმაცია და დამყარებული კონტაქტები სასარგებლო იქნება სასამართლო ხელისუფლების შემდეგი განვითარებისათვის.

მედიაციის ინსტიტუტი ქართულ მართლმსაჯულებაში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში

მალე ქართულ სასამართლო სისტემაში ახალი ინსტიტუტი - სასამართლო მედიაცია ამოქმედდება. ისეთი კატეგორიის საქმეები, როგორიცაა საოჯახო, სამეზობლო, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების გარკვეული ნაწილი და სხვა სამოქალაქო საქმეების კატეგორის, სადაც მხარეებს შორის მორიგების ალბათობა არსებობს, გადაეცემა მედიატორს.

მედიაცია კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე - მედიატორი მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. მედიაცია განსაკუთრებით ეფექტიანია იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს რაიმე მიზეზით არ სურთ საკითხის სასამართლოში განხილვა. კერძოდ, თუ საკითხი იწელება დროში, გადაწყვეტილება შეიძლება მოულოდნელი აღმოჩნდეს ორივე მხარისათვის, ხარჯები შეიძლება გაიზარდოს და ა.შ. ამასთან, თუ მხარეები არ არიან დაინტერესებული სახალხოდ საქმის გარჩევაზე და მათთვის მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობა.

მედიატორი ნეიტრალური პიროვნება უნდა იყოს, რომელიც საქმეში მონაწილე ორივე მხარეს ზუსტად აუხსნის საქმის ვითარებას და შეეცდება, მხარეები მოარიგოს.

მედიატორის დახმარებით, მხარეები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. მედიაციის ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტია მხარეების ჩართულობა თავიანთი საქმის მოგვარების პროცესში.

ცოტა ხნის წინ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, საქართველოში შეიქმნა მედიაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. სამოქალაქო პროცესში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, სავალდებულო მედიაცია შემოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს რომც არ ჰქონდეთ მედიაციაზე წასვლის სურვილი, მოსამართლეს შეუძლია კონკრეტული საქმეები, როგორიცაა: საოჯახო, მემკვიდრეობითი და სამეზობლო დავები გადააგზავნოს სავალდებულო მედიაციაზე. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას - დავა სასამართლომ განიხილოს თუ მედიატორმა, მხრაეები იღებენ.

საპილოტე პროგრამის ფარგლებში საქართველოში მედიაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში გახორციელდება.

მედიატორი არის ნეიტრალური პიროვნება, რომელიც შუამავალია მოდავე ორ მხარეს შორის და რომელიც საქმეში მონაწილე ორივე მხარეს ზუსტად აუხსნის საქმის ვითარებას და შეეცდება, მხარეები მოარიგოს.

მედიატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, გავლილი უნდა ჰქონდეს მედიატორთა სასწავლო პროგრამა, არ უნდა იყოს ნასამართლევი და რაც მთავარია, უნდა იყოს კომუნიკაბელური და ფლობდეს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას. თუმცა, როგორც ექსპერტები აცხადებენ, მედიატორს, რომელსაც აქვს იურიდიული განათლება, ან ფსიქოლოგია, საკმაოდ წარმატებულია მედიაციისას.

საპილოტე პროგრამის ფარგლებში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტი კანონით გავრცელდება საოჯახო, სამემკვიდრეო და სამეზობლო დავებზე.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უკვე დაიწყო გასაუბრება მედიატორობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ პირებთან. გასაუბრებას დაესწრნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და წევრები, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამიერ გადაცემული საქმეების მედიაციას. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მედიაციის მრავალი მოდელი, მაგრამ უცვლელია ძირითადი პრინციპები: მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ნებაყოფლობითობა, მედიატორის ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა, პროცესის კონფიდენციალურობა

ვების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (EWMI-JILEP) წარმომადგენლები. შერჩეული კანდიდატები გაივლიან ზოგად ტრენინგს მედიაციის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში. შეფასების საფუძველზე კანდიდატთა გარკვეული ნაწილი გააგრძელებს სწავლას მეორე ეტაპზე, სადაც კანდიდატებს ჩაუტარდებათ სემინარები მედიატორისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ასამაღლებლად.

ტრენინგის მეორე ეტაპის წარმატებით დასრულების შემდგომ მონაწილეები ჩაერთვებიან თბილისის საქალაქო სასამართლოს საპილოტე პროექტში და წარმართავენ სასამართლოს

უცხოური პრაქტიკა

მედიაციის ინსტიტუტი ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 60-იან წლებში. იგი თავდაპირველად საოჯახო და შრომით დავებზე გამოიყენებოდა. შემდგომში კი ბიზნესმაც უკვე აქტიურად დაიწყო მისი გამოყენება.

არსებული სტატისტიკით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქმეების მხოლოდ 5 პროცენტი აღწევს სასამართლომდე, დანარჩენი საქმეები გვარდება დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით. ამერიკაში არსებობს დავების გადაწყვეტის ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს მედიაციის ახალი ფორმების შემუშავებაზე, ასევე არსებობს კერძო და სახელმწიფო მედიაციის ბიუროები.

აშშ-ში გამოკვეთილია ტენდენცია - რაც შეიძლება მეტი დავა იყოს გადაწყვეტილი მედიაციის დახმარებით. "დავათა გადაწყვეტის ნაციონალური ინსტიტუტი" დაკავებულია მედიაციის ახალი მეთოდების შემუშავებით. ხოლო იურისტთა ასოციაცია აერთიანებს, დაახლოებით, 13000 სპეციალისტს დავის ალტერნატიური გზით გადაჭრის სფეროში.

დღესდღეობით მედიაცია მსოფლიოში კონფლიქტის გადაწყვეტის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა - ყველა დავის, სადაც ჩართულია მედიაცია, 80 პროცენტი სრულდება მხარეთა შეთანხმებით. განვითარებულ ქვეყნებში მედიაცია გახდა სამართლებრივი სისტემისა და კულტურის ნაწილი. საერთოდ, ევროპის ქვეყნებში მედიაციით წყდება საქმეების 40-80 პროცენტი, მთელ მსოფლიოში კი დავების 75-80 პროცენტი მედიაციით სრულდება.

საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყანაში მედიაცია სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. ამ ინსტიტუტმა ფართო განვითარება ჰპოვა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ინგლისში, სერბიაში, ნიდერლანდებსა და ბულგარეთში, ასევე, აზიის ქვეყნებში. სასამართლო მედიაცია განსაკუთრებით პოპულარული გახდა გერმანიაში.

არსებობს მედიაციის ორი სახე: სასამართლო და არასასამართლო მედიაცია.

სასამართლო მედიაცია გულისხმობს მედიაციის პროცესის წარმართვას თავად სასამართლოში. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი არსებობს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

საფრანგეთში მედიატორი მოქმედებს თვით სასამართლო სისტემის შიგნით, მედიაციის პროცესის წარმართვა შესაძლებელია დაევალოს ფიზიკურ პირს, ასევე ასოციაციას. მოსამართლის როლი მედიაციის პროცესში შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ განსაზღვროს, განეკუთვნება თუ არა საქმე მედიაციით გადასაწყეტ დავას. გერმანიაში სასამართლო მედიაციისას მედიატორები არიან მხოლოდ მოსამართლეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური კურსი და ისინი არ მონაწილეობენ საქმის არსებით განხილვაში.

ავსტრალიაში კერძო მედიატორები ძირითადად გადამდგარი მოსამართლეები არიან, სასამართლო მედიატორები კი - მოქმედი მოსამართლეები.

ექსპერტთა დასკვნით, ჩინეთში დავათა 30 პროცენტი წყდება მედიაციის საშუალებით.

არგენტინაში 1995 წელს მიიღეს კანონი "მედიაციისა და შეთანხმების შესახებ," რომლის თანახმადაც, დადგენილია სავალდებულო მედიაცია. მას შემდეგ, რაც სარჩელი შეტანილი იქნება სასამართლოში, მასზე მედიატორი ინიშნება. მედიატორთა რეესტრი წარმოებს იუსტიციის სამინისტროში.

დიდ ბრიტანეთში კი შექმნილია სპეციალური სამსახური "მედიაციასთან დაკავშირებული ცხელი ხაზი," რომელიც ეხმარება მოქალაქეებს, შესაფერისი პროცედურა შეარჩიონ დავის გადასაწყვეტად. გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია საოჯახო დავების დროს მედიაციის განხორციელებასთან, თავისთავზე სახელმწიფო იღებს. მედიაციის განვითარებისა და მედიატორთა მომზადების საკითხებს დიდ ბრიტანეთში რამდენიმე ორგანიზაცია აწარმოებს: "დავების ეფექტური გადაჭრის ბრიტანული ცენტრი" (CEDR) და "არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრი" (JAMS).

ბულგარეთის "მედიაციის შესახებ" კანონის თანახმად, სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს სამოქალაქო, საოჯახო, შრომით და ადმინისტრაციულ დავებზე.

მედიატორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ნასამართლობის არმქონე პირი, რომელიც შეყვანილია იუსტიციის სამინისტროს მედიატორთა ერთიან რეესტრში.

რაც შეეხება სერბეთის კანონის "მედიაციის შესახებ," აქ მედიაცია შეიძლება გავრცელდეს საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზე; საოჯახო სამართლებრივ დავებზე; კომერციულ და შრომითი ხასიათის დავებზე; ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ დავებზე.

ახალი თაობის თეატრალების საერთაშორისო ფორუმი

პირველი გვერდიდან

საქართველოს საერთაშორისო ფორუმზე დათა თავაძე სამეფო უბნის თეატრში დადგმული სპექტაკლით "მახინჯი", მხატვარი სერგეი შივცი, დრამატურგები ლაშა ბუღაძე და ნესტან-ნენე კვინიკაძე, თეატრმცოდნეებიდან ნერონ აბულაძე და მე წარმოვადგენდით. საქართველოს წარმომადგენლობის შერჩევაში უშუალოდ ჩართული იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (როგორც ჩეხოვის საერთაშორისო ფესტივალის პარტნიორი საქართველოში) და "საქართველოს თეატრალური საზოგადოება" (როგორც თეატრალური კავშირების საერთაშორისო კონფედერაციის წევრი ორგანიზაცია).

დათა თავაძე და ვლადიმერ პანკოვი

ფორუმის ფარგლებში, სპექტაკლების ჩვენების გარდა, მოეწყო თეატრის მხატვართა ნამუშევრების (ესკიზები, სპექტაკლების მაკეტები) გამოფენა და სცენოგრაფთა მასტერკლასი, რომელსაც რუსეთიდან ცნობილი მხატვარი იური ხარიკოვი ხელმძღვანელობდა. სცენოგრაფთა ნამუშევრების გამოფენა მოლდოვის თეატრალური საზოგადოების საგამოფენო დარბაზში ერთ თვეს გასტანს. სერგეი შივცს ქართველი მაყურებელი მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან "კრეპის უკანასკნელი ფირი" (რეჟისორი ნიკა ლუარსაბიშვილი) იცნობს. მანამდე ახალგაზრდა მხატვარი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოღვაწეობდა. 2010 წელს მან საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა სცენოგრაფის სპეციალობით, მამია მალაზონიასა და ნინო კუზნეცოვა-გუნიას ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა მხატვარს უკვე ათზე მეტი სპექტაკლი აქვს გაფორმებული. "სასიამოვნო იყო, რომ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელი ამდენი საინტერესო ახალგაზრდა გავიცანი. შეხვედრებზე იყო განსხვავებული აზრები, შეხედულებები და, შესაბამისად, ჩვენ ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებდით. სამომავლოდ იური ხარიკოვის ორდღიანი მასტერკლასიდან გარკვეულ რჩევებს გავითვალისწინებ, განსაკუთრებით, ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, რადგან ჩვენთან ამ მხრივ გარკვეული პრობლემებია. ისე კი, ჩემი დაკვირვებით პოსტსაბჭოთა სივრცეში სცენოგრაფიაში აზროვნება დიდად წინ არ წაწეულა..." - განაცხადა ჩვენთან საუბარში სერგეი შივცმა.

საერთაშორისო ფორუმის ერთ-ერთი მიმართულება ახალგაზრდა დრამატურგთა, რეჟისორთა და თეატრმცოდნეთა ვორქშოპები იყო, რომელსაც რუსი რეჟისორი ვიქტორ რიჟაკოვი უძღვებოდა. მან ფორუმის მონაწილე რეჟისორებს დავალებად იმ პიესების "კითხვის" მომზადება მისცა, რომლებიც ფორუმის ეგიდით გამოცემულ "პიესების კრებულში" დაიბეჭდა. პიესების კრებულში საქართველოდან ლაშა ბუღაძის ცნობილი პიესა "ნაფტალინი" შევიდა. ამ პიესას კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი. ის საქართველოს არაერთ სცენაზე დაიდგა. პრობლემა, რომელიც ლაშა ბუღაძემ პიესაში "ნაფტალინი" წამოჭრა, ვფიქრობ, პოსტსაბჭოთა სივრცის თეატრისთვის საინტერესო იქნება. ლაშა ბუღაძის პიესის გარდა, კრებულში ნესტან-ნენე კვინიკაძის პიესა "ფრანგულის გაკვეთილია" დაბეჭდილი, რომელიც ასევე წაკითხული იქნა მარჯანიშვილის თეატრის სხვენში პროექტის "ცხრა პიესა ომზე" ფარგლებში. პიესის ფორმატიდან და აქტუალობიდან გამომდინარე მისი "კითხვის" დადგმის ინიციატივა ლიტველმა მსახიობ-რეჟისორმა ლარეტა ვასკოვამ სომეხ რეჟისორთან ზარა ანტონიანტან ერთად ითავა. კითხვაში მონაწილეობდნენ მოლდოველი მსახიობები რომან მალაი და სტელა ლეპანი. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ აირჩიეს რეჟისორებმა ქართული პიესები კითხვისთვის, ასეთი პასუხი მივიღეთ:

ზარა ანტონიანი: ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვქონდა მოგვემზადებინა პიესა დასადგმელად, ამიტომ ვეძებდით მცირე მოცულობის დრამატურგიულ კონსტრუქციას, რომელიც დატვირთული იქნებოდ იმ იდეებით, რომელიც ჩვენთვისაც ახლობელია. განსაკუთრებით მომხიბლა ცოცხალმა დიალოგმა და პერსონაჟებმა, ასევე იმან, რომ მოვლენები სხარტად და დინამიკურად ვითარდება. თანაც გარეთ ომი დაიწყო, აქ კი ორ ადამიანს შორის სიყვარული ჩაისახა. ასევე, ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, მნიშვნელოვანია ორ თაობის შორის დამყარებული ურთიერთობა...

ლარეტა ვასკოვა: ჩემთვის ეს პიესა აღმოჩნდა გაკვეთილი, თუ როგორ უნდა ააწყოს დიალოგი რეჟისორმა სცენისთვის, როგორ უნდა შეცვალო დამოკიდებულებები პერსონაჟებს შორის. პიესა მსახიობის დიალოგისთვის კარგი სასწავლო მასალაა. პიესის სტრუქტურა ორიგინალურია, აქ ორი სამყაროა - ერთი, რომელიც პიესაში ხდება და მეორე მის მიღმა.

ვორქშოპების და მასტერკლასების პარალელურად, ფორუმის ფარგლებში თეატრის კრიტიკოსთა მრგვალი მაგიდებიც გაიმართა, რომელსაც ჟურნალ "თეატრის" რედაქტორი, თეატრმცოდნე ალა შენდეროვა (რუსეთი) და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ჟურნალ "ეკრანი და სცენას" თეატრალური მიმომხილველი მარია ხალიზევა (რუსეთი) უძღვებოდა. ფორუმში მონაწილე კრიტიკოსებს შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ რუსული თეატრმცოდნეობითი სკოლა კვლავ ტრადიციების ერთგულია, ვერ ამსხვრევს დადგენილ კლიშეებს და არ ცდილობს მიღებული ნორმებიდან გადახვევასა და განვითარებას. რუსი თეატრის კრიტიკოსების მთავარ ფუნქციად დღემდე სპექტაკლის სიუჟეტის მოყოლა და გარკვეული სცენების დეტალური აღწერა რჩება, როგორც ეს საბჭოთა თეატრმცოდნეობაში იყო. სწორედ ამ საკითხებზე გაიმართა კამათი თეატრმცოდნეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც ქართულმა დელეგაციამ დასვა მოხსენებაში "მომავლის თეატრი და სათეატრო კრიტიკა" . თეორეტიკოსებზე მეტად პროგრესულად მოაზროვნედ რუსი რეჟისორები ვიქტორ რიჟაკოვი და ვლადიმერ პანკოვი გამოიყურებოდნენ, რომლებიც ახალგაზრდა თეატრის მოღვაწეებს სტერეოტიპების ნგრევისა და გავლენა-შტამპებისგან გათავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ.

თეატრის ახალგაზრდა მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმი კიშინოვში საბჭოთა კავშირის ნოსტალგიისა და მისი აღდგენის შეფარული მცდელობის იდეით იყო გაჟღენთილი. ფორუმი თავისი ფორმით, რომელიც მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, 21-ე საუკუნეშიც კი ვერ გაექცა საბჭოთა ტრადიციებს, რაც გამოიხატა თუნდაც სპეციალური ჟიურის შექმნით (რომელიც მთლიანად რუსული თეატრის უფროსი თაობის მოღვაწეებით იყო დაკომპლექტებული); მოძველებული აზროვნება გამოვლინდა კიდეც მათ გადაწყვეტილებაში, როცა საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა ვიდას ბერეიკისის (ლიტვა) სპექტაკლი "ტელეფონების წიგნი" - მომავლის თეატრის ახალი მანიფესტი. საპრიზო ადგილები ბელორუსიამ, ლატვიამ და სომხეთმა გადაინაწილეს. რომ არა ფორუმში მონაწილე ახალგაზრდა კრიტიკოსთა დაუცხრომელი მეცადინეობა და უფლების მოპოვება ახალგაზრდული კრიტიკის პრიზის გადაცემისა, ლიტველი რეჟისორის სპექტაკლი ფორუმზე სრულიად აღუნიშნავი დარჩებოდა. "კრიტიკის პრიზის" ლაურეატის გამოცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა ჟიურისთვის, რაზეც მსოფლიოში სახელგანთქმულმა შექსპიროლოგმა, თეატრმცოდნეობის დოქტორმა და ჟიურის წევრმა ალექსეი ბარტაშევიჩმა განაცხადა: "აი, ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, რომ სპექტაკლის აღქმის ჩემი საშუალებები მოძველდა და მეც საგრძნობლად დავბერდიო."

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 წლის მარტში ქართველ მაყურებელს ნამდვილ სიურპრიზს უმზადებს. ფესტივალის დირექტორი ეკა მაზმიშვილი გეგმავს იმ სამი საუკეთესო სპექტაკლის ჩვენებას თბილისში, რომელიც ოფიციალურმა ჟიურიმ გამარჯვებულად გამოაცხადა. იმედია, ჟიურის გადაწყვეტილებას თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელმძღვანელობა გადახედავს და ლიტველი რეჟისორის ვიდას ბარეიკისის სპექტაკლს "ტელეფონების წიგნი" მეტად მნიშვნელოვანი პროექტის გარეთ არ დატოვებს, მით უმეტეს, იმ მეგობრობის ფონზე, რაც წლების წინ ჩამოყალიბდა თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და ლიტვურ თეატრს შორის.

პრემია "საბას" ფინალისტები

ლიტერატურული კონკურს «საბას" ჟიურიმ წლევანდელი ფინალისტები გამოავლინა. **კონკურსზე წარდგენილი 188 წიგნიდან, ფინალურ ეტაპზე, 42 საუკეთესო მოხვდა.**

ივნისის მიწურულს თიბისი ბანკში "საბას" **რიგით მეათე საზეიმო დაჯილდოება** გაიმართება. «საბას" პრიზებსა და ფულად პრემიებს 2011 წლის საუკეთესო წიგნების ავტორები მიიღებენ.

საპრემიო ფონდი **40 ათას ლარს** შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

"საბა" წელსაც, ტრადიციულად, 9 ნომინაციაში გაიცემა. წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

წლის საუკეთესო პროზაული კრებული
1. ზვიად კვარაცხელია, **ყიფლიბანდი** (ინტელექტი)
2. ზურაბ ლეჟავა, **სინაღდე სიყალბისა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. მიხო მოსულიშვილი, **მადლის ქვა** (სიესტა)
4. დავით ქართველიშვილი, **6 სიზმარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. ცირა ყურაშვილი, **ხიზნები კომანის მონასტერთან** (ინტელექტი)
6. ბესო ხვედელიძე, **წითელი** (საუნჯე)

წლის საუკეთესო პოეტური კრებული
1. ცირა ბარბაქაძე, **უცხოქალაქი** (უნივერსალი)
2. ელგუჯა მარღია, **ნაბადი** (სვეტი)
3. პაატა შამუგია, **დაუჯდომელი** (სიესტა)
4. ვაჟა ხორნაული, **სიტყვები - სიყვარულის თვალები** (თობალისი)
5. კატო ჯავახიშვილი, **ჭუპრი** (საუნჯე)

წლის საუკეთესო რომანი
1. ზაზა ბურჭულაძე, **გასაბერი ანგელოზი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. აკა მორჩილაძე, **Obole** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ირაკლი სამსონაძე, **ლეას-საათი** (ინტელექტი)
4. ზურაბ ქარუმიძე, **მელია ტულეფია: Foxtrot** (სიესტა)

წლის საუკეთესო დებიუტი
1. ეკატერინე ახვლედიანი, **ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმი"** (დიოგენე)
2. სალომე ბენიძე, **მოხსენებითი ბარათი** (ინტელექტი)
3. ნინო გუგეშაშვილი, **ფეისკონტროლი** (დიოგენე)
4. ჯაბა ზარქუა, **ვარმშტადური პარადოქსი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. უჩა ზაქაშვილი, **ხელით ნაქსოვი თოჯინები** (საუნჯე)
6. სანდრო ნავერიანი, **არგენტინული პიტბული** (სიესტა)
7. გიორგი ოქროპირიძე, **ლექსები** (გამოიცა ავტორის ხარჯით)
8. სალომე სულაბერიძე, **ჰამალ** (არეტე)
9. ეკატერინე ტოგონიძე, **ანესთეზია** (საუნჯე)

წლის საუკეთესო თარგმანი
1. მაია ბადრიძე, **რობერტ მუზილის "უთვისებო კაცი", წიგნი II** (დიოგენე)
2. ლევან ბერძენიშვილი, **არისტოფანეს "კომედიები", ტომი IV** (ლოგოს პრესი)
3. ნათელა გავაშელი, **ჩესლავ მილოშის "ისას დაბლობი"** (ინტელექტი)
4. ქეთი ქანთარია, **ჰენრი დევიდ თოროს უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება"** (სიესტა)
5. ბელა შალვაშვილი, **ფირდოუსის "შაჰნამე"** (ნეკერი)
6. გივი შახნაზარი, **ნაჰაპეტ ქუჩაკის "ას ერთი ჰაირენი"** (ექსკლუზივ პრინტი)
7. ხათუნა ცხადაძე, **უმბერტო ეკოს "ვარდის სახელი"** (დიოგენე)
8. დავით წერედიანი, **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს "ფაუსტი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

წლის საუკეთესო პიესა
1. გურამ ბათიაშვილი, **მოქმედი პირნი და შემსრულებელნი** (ლიტ. პალიტრა)
2. ლაშა ბუღაძე, **ნავიგატორი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. გურამ მეგრელიშვილი, **ნაღალატევ ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი** (დიოგენე)

წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა
1. რევაზ გაჩეჩილაძე, **ჩემი მეოცე საუკუნე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. ნოდარ გრიგალაშვილი, **თანმდევი სული** (ახალი საქართველო)
4. გიორგი მაისურაძე, **ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. დათო ქარდავა, **ტუალეტში საკითხავი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა
1. ივანე ამირხანაშვილი, **თავისუფლების პარადოქსები** (ინტელექტი)
2. ლევან ბრეგაძე, **ლიტერატურული (გამო)ძიებანი** (არტანუჯი)
3. მაკო ჯანჯიბუხაშვილი, **მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში** (წყაროსთვალი)

ამინდი

თბილისი	30°C - 19°C	ნიუ-იორკი	29°C - 20°C
მცხეთა	32°C - 15°C	ლონდონი	19°C - 12°C
რუსთავი	29°C - 14°C	პარიზი	21°C - 14°C
თელავი	32°C - 18°C	რომი	34°C - 18°C
გურჯაანი	32°C - 19°C	ბერლინი	23°C - 12°C
სიღნაღი	33°C - 18°C	მიუნხენი	22°C - 8°C
წინანდალი	32°C - 18°C	ვენა	24°C - 15°C
ლაგოდეხი	33°C - 16°C	ბუდაპეშტი	29°C - 13°C
გორი	31°C - 16°C	პეკინი	36°C - 22°C
ხაშური	32°C - 16°C	ტოკიო	26°C - 20°C
ბოლნისი	31°C - 17°C	დელი	41°C - 32°C
მარნეული	31°C - 17°C	მოსკოვი	24°C - 13°C
წყნეთი	29°C - 17°C	კიევი	27°C - 14°C
სიონი	24°C - 12°C	მინსკი	21°C - 9°C
მანგლისი	25°C - 13°C	ტალინი	17°C - 12°C
ცხინვალი	29°C - 14°C	თელ-ავივი	32°C - 22°C
ბაკურიანი	23°C - 7°C	ათენი	33°C - 25°C
გუდაური	17°C - 10°C	სტამბული	30°C - 22°C
ბორჯომი	31°C - 16°C	ანტალია	32°C - 22°C
სურამი	32°C - 16°C	ბაკო	30°C - 22°C
დავით-გარეჯი	28°C - 18°C	ერევანი	34°C - 19°C
ახალციხე	29°C - 13°C	ასტანა	32°C - 16°C
აბასთუმანი	24°C - 12°C	ბიშკეკი	30°C - 17°C
თიანეთი	28°C - 14°C	დუბაი	40°C - 30°C
ქუთაისი	33°C - 20°C	დუშანბე	28°C - 17°C
ზესტაფონი	33°C - 16°C	ვილნიუსი	21°C - 9°C
ხარაგაული	33°C - 16°C	იოჰანესბურგი	18°C - 6°C
საჩხერე	33°C - 15°C	კაირო	39°C - 24°C
ჭიათურა	32°C - 17°C	კიშინიოვი	31°C - 20°C
სენაკი	30°C - 20°C	კოპენჰაგენი	18°C - 12°C
ზუგდიდი	31°C - 19°C	ოსლო	17°C - 11°C
ხობი	30°C - 20°C	რეიკიავიკი	16°C - 9°C
ლანჩხუთი	31°C - 20°C	რიგა	19°C - 10°C
ჩოხატაური	31°C - 21°C	სტოკჰოლმი	18°C - 10°C
ოზურგეთი	28°C - 20°C	ტაშკენტი	33°C - 20°C
სოხუმი	29°C - 21°C	ჰელსინკი	18°C - 11°C
ბათუმი	27°C - 19°C	ბარსელონა	28°C - 19°C
ქობულეთი	27°C - 19°C	ბუქარესტი	34°C - 22°C
გონიო	26°C - 17°C	ვარშავა	24°C - 12°C
ურეკი	26°C - 17°C	ლისაბონი	27°C - 16°C
ფოთი	28°C - 19°C	მადრიდი	33°C - 19°C
ონი	31°C - 18°C	ნეაპოლი	28°C - 20°C
ამბროლაური	29°C - 17°C	პრაღა	24°C - 10°C
მესტია	24°C - 15°C	სოფია	33°C - 16°C
უშგული	17°C - 11°C	სტრასბურგი	24°C - 10°C
ომალო	22°C - 9°C	ფრანკფურტი	23°C - 8°C
შატილი	17°C - 9°C	ჰამბურგი	18°C - 13°C

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.4490
AMD	1000 სომხური დრამი	3.9253
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.6616
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.0797
BGN	1 ბულგარული ლევი	1.0614
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.8068
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.9734
CAD	1 კანადური დოლარი	1.6007
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7242
CNY	10 ჩინური იუანი	2.5674
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8096
DKK	10 დანიური კრონი	2.7854
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.6994
EUR	1 ევრო	2.0704
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5669
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1058
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7270
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.2207
INR	100 ინდური რუპია	2.8966
IRR	10000 ირანული რიალი	1.3564
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3092
JPY	100 იაპონური იენი	2.0458
KGS	100 ყირგიზული სომი	3.4607
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8441
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.0981
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.0005
LVL	1 ლატვიური ლატი	2.9441
MDL	10 მოლდავური ლეი	1.3502
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.7614
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3046
PLN	10 პოლონური ზლოტი	4.8743
RON	10 რუმინული ლეი	4.6381
RSD	100 სერბიული დინარი	1.8056
RUB	100 რუსული რუბლი	4.9658
SEK	10 შვედური კრონი	2.3446
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.2854
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4285
TMT	10 თურქმენული მანათი	5.7333
TRY	1 თურქული ლირა	0.9087
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0444
USD	1 აშშ დოლარი	1.6340
UZS	1000 უზბეკური სომი	0.8685
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	1.9822
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4190
QAR	10 ყატარული რიალი	4.4880

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	2.54	+0.01	+0.54%
გაზი	2.63	+0.05	+1.83%
ოქრო	1,567.90	+2.40	+0.15%
ხორბალი	681.75	+20.00	+2.93%
S&P/TSX Composite Index	11,415.90	+7.54	+0.07%
Nasdaq Composite Index	2,876.84	+17.75	+0.62%
Dow Jones Industrial Average	12,621.90	+48.29	+0.38%

აფიშა

კლუბები

20:30 - **რომანსები**
რესტორანი "ჩაკრულო"
რუსთაველის გამზ. 38/40. ტელ: 293 12 26; მობ: 599 93 02 52
22:00 - **მღერის შოუ-ბიზნესის ჩაუქრობელი ვარსკვლავი გია სურამელაშვილი და მუსიკა ცოცხალი შესრულებით: საესტრადო ანსამბლი "მღვიმე" (4 ბიჭი და გოგო), ტამ-ტამი, ვიოლინო, საქსაფონი, კინგი**
რესტორანი "მღვიმე"
მტკვრის მარცხენა სანაპირო (მაღაზია "რივერსაიდის" გვერდით) ტელ: 2 305 558/ 2 359 540; 599 56 60 72
19:00 - **რესტორანი "ბერმუხა" განახლებული საკონცერტო შოუ-პროგრამით,**
მაესტრო გია ყარალაშვილის ხელმძღვანელობით. ცოცხალი
შესრულება-როიალი (გია ყარალაშვილი), საქსაფონი, აკორდეონი, ტამტამები,
კლავიში, გიტარა და ფანდური. გაატარეთ სასიამოვნო
დრო რესტორან "ბერმუხასთან" ერთად.
რესტორანი "ბერმუხა"
აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. ტელ: 259 69 69; მობ: 598 59 69 69

კინოთეატრები

12:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (7,50-8,50 ლარი)
14:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
16:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
18:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (9,50-10,50 ლარი)
20:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (10,50-11,50 ლარი)
22:15 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50-11,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
13:00 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (7,50 ლარი)
15:15 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (8,50 ლარი)
17:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (9,50 ლარი)
19:45 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (10,50 ლარი)
22:30 - **"დიქტატორი"** - (9,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 3)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
12:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (6,50 ლარი)
14:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (7,50 ლარი)
16:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (7,50 ლარი)
18:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (8,50 ლარი)
20:00 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (9,50 ლარი)
22:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (9,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 4)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
12:00 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (7,50 ლარი)
14:45 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (8,50 ლარი)
17:30 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (9,50 ლარი)
20:15 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50 ლარი)
22:30 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (10,50 ლარი)
კინოთეატრი "ამირანი" (დიდი დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 299-99-55
13:00 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (7,50 ლარი)
15:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (8,50 ლარი)
18:00 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (9,50 ლარი)
20:15 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (10,50 ლარი)
22:30 - **"დიქტატორი"** - (9,50 ლარი)
კინოთეატრი "ამირანი" (მცირე დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 299-99-55

გამოფენები

გალერეა "ვერნისაჟი" გიწვევთ თორნიკე აბულაძის პერსონალურ გამოფენაზე "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა". ფერწერა, გრაფიკა, ვიდეო-ინსტალაცია.
გალერეა "ვერნისაჟი"
ძმები ზუბალაშვილების ქ. 7, ტელ: 299-88-08
თიბისი ბანკის საიუბილეო პროექტის "20წელი/12 თვე" ფარგლებში, თიბისი არტ გალერეაში ცნობილი ქართველი მხატვრის, სცენოგრაფისა და წიგნის ილუსტრატორის, მამია მალაზონიას ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობს -
(გალერეა მუშაობს: ორშაბათი-პარასკევი 12:00-20:00 სთ.)
თიბისი არტ გალერეა
მარჯანიშვილის ქ. 7, ტელ: 227-27-27
სტენლი გრინის ფოტო-გამოფენა "ჩეჩნეთის გზაზე" 1993 - 2003
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11
ეროვნული გალერეა გიწვევთ ფოტოგამოფენაზე "სირია: მხილება" - ფოტოგრაფები: უილიამ დენიელსი (Panos Pictures), სტეფან დოკი, სეამუს მერფი (VII Agency), რემი ოშლიკი, ალესიო რომენცი, მანი, უცნობი სირიელი ფოტოგრაფები.
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11
ფოტო-გამოფენა "კავკასია: მე-19 საუკუნის პორტრეტები". გამოფენა იმართება თბილისის ფოტო-ფესტივალის ფარგლებში. -
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)
თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
წარმოგიდგენთ მეოცე საუკუნის ცნობილი ქართველი მხატვრის, კლასიკოსის - დავით გაბაშვილის ნამუშევართა გამოფენას (1914 -1995) -
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)
თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
საქართველოს დამსახურებული მხატვრის, მიხეილ ხვიტიას პერსონალურ გამოფენას - "მიხეილ ხვიტიას თვალით დანახული საქართველო"
მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 234-28-99, 235-31-52

კროსვორდები



		5					2	
		6	7		9			
						4	5	
7			4		3			9
2								
	6		9					8
	8		6	7		1		
5	7			2				

					1			
	2				9			
	9		6					8
				2	3		4	
	4			7				
1		6				5	3	
5	8	7				6		
9				5	4	1		
						8		

7	D	9	0				1						8	
			C		7			6				5	D	1
				0			6					C		
	A				9			3	2	4	5			
						9		1			C			
					A	3		5	D			7		B
5	2			E		7			B					
	B						8				F	9	1	6	2
				F	E		9			8		D			
	9		8	A	3		C		F	B			4		
	6	4	5	8				9				2	3	7	
	C	3						4	1		6				
8			7							E		C		0	
E			D		5			2	0	3	1				
		1			F		A				7		6	5	8
2			6								4				F

ჩაბი ალონსო: "გოლი არც ისე ხშირად გამაქვს"

ჩაბი ალონსოს გოლი

ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა ჩაბი ალონსომ საიუბილეო - მეასე სანაკრებო მატჩში დუბლი შეასრულა. თამაშის შემდეგ ბასკი ნახევარმცველი ჟურნალისტთა გარემოცვაში აღმოჩნდა.

- 23 ივნისი თქვენთვის ღირსშესანიშნავი დღე გამოდგა - მეასე მატჩი ნაკრებში, დუბლი და მეოთხედფინალის მოგება საფრანგეთის ნაკრებთან...

- მთელმა გუნდმა ფენომენალურად ითამაშა. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ დუბლი შევასრულე. ჩემთვის ეს მართლაც მოვლენაა.

- იყო თუ არა თამაშში ისეთი მომენტი, როდესაც გამარჯვებაში ეჭვი შეგეპარათ, იფიქრეთ თუ არა, რომ ფრანგების დამარცხებას დამატებითი დრო ან პენალტების სერია დასჭირდებოდა?

- ვერ ვიტყვი, რომ მეტოქის კართან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. თუმცა, თამაშის მსვლელობას პირველივე წუთიდან ვაკონტროლებდით.

- სწრაფმა გოლმა ამოცანა გაგიადვილათ?

- რა თქმა უნდა. მატჩის დებიუტში ფრანგები დიდი ძალებით იცავდნენ თავს. მერე კი იძულებული გახდნენ შეტევაზე ეფიქრათ და ჩვენ სივრცე გაგვითავისუფლდა.

- დღევანდელ მატჩში ხშირად გადადიოდით შეტევაზე, რასაც, საერთოდ, არც ისე ხშირად აკეთებთ.

- ჩვენს გუნდში ძალიან კარგი ნახევარმცველები თამაშობენ და მოედნის ცენტრში თამაშის დალაგება ადვილია. ამიტომ როდესაც არის შანსი, ყოველთვის მივდივარ წინ, ვიცი, რომ რომელიმე თანაგუნდელი აუცილებლად დამაზღვევს. დღეს თანაგუნდელები ზონებს მითავისუფლებდნენ და მეც შეტევაზე გადავდიოდი. გოლიც აქედან გამოცხვა.

- გახსოვთ უკანასკნელად როდის გაიტანეთ თავით გოლი?

- მაცალეთ, დავფიქრდე... არა, ვერ ვიხსენებ. უფრო ადვილია, თუ "ვიკიპედიაში" ვნახავთ. შესაძლოა, ასეთი რამ "ლივერპულში" თამაშისას მოხდა. ისე კი საკმაოდ იშვიათად გამაქვს გოლი. ამიტომ ჩემთვის ნებისმიერი გოლი განსაკუთრებულია.

- ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ თქვენი გუნდი უფრო ფრთხილად თამაშობდა, ვიდრე სხვა მატჩებში.

- ცხადია. საფრანგეთის ნაკრების თამაში გავაანალიზეთ, თუმცა, ამა თუ იმ მატჩისთვის ტაქტიკის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს მექტოქეს. ჩვენ, უბრალოდ, ჩვენი სტილი გვაქვს, რომელსაც არ ვღალატობთ.

- ხორვატიასთან უკეთ ითამაშეთ თუ საფრანგეთთან?

- ის მატჩი თავისი ხასიათით განსხვავებული გამოდგა. ამის მიზეზი ხორვატების ტაქტიკა იყო. ჩვენ ფრანგებთანაც და ხორვატებთანაც ერთნაირად ვითამაშეთ. უბრალოდ, ხორვატებმა და ფრანგებმა ითამაშეს სხვადასხვანაირად.

- უკანასკნელ წლებში ესპანეთის ნაკრებმა ყველაფერი მოიგო. ხომ არ გიჭირთ თამაშებზე მოტივირება?

- არა. ტიტულები წარსულს ჩაბარდა. ჩვენ მომავალზე ვფიქრობთ. ჩვენი გუნდი გაიზარდა, მაგრამ არც მეტოქეები დგანან ერთ ადგილზე.

- განსაკუთრებით პორტუგალიელები, არა?

- დიახ. პორტუგალიის ნაკრებს კარგად ვიცნობთ. ისინიც კარგად გვიცნობენ. ცხადია, თამაში რთული იქნება - ფინალამდე ხომ ერთი ნაბიჯი რჩება.

- "რეალისა" და კრიშტიანუ რონალდუს დაპირისპირება ამ თამაშის მთავარი ინტრიგა იქნება?

- რონალდუზე თითქმის ყველაფერი ვიცით. მისი არ გვეშინია. მეტიც, მოუთმენლად ველი მასთან დაპირისპირებას.

ვინ შეაჩერებს "ფურია როხას"

ჩაბი ალონსომ იუბილე იზეიმა

მიხეილ აბაიშვილი

ევრო 2012-ზე ესპანეთ-საფრანგეთის მეოთხედფინალური მატჩი ქართველი, თუნდაც ნეიტრალური ქომაგისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო. მიზეზი გასაგებია: ორივე ეს გრანდი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის იმ საკვალიფიკაციო ქვეჯგუფში იასპარეზებს, რომელშიც საქართველო.

თავად ამ ორი ქვეყნის ნაკრების შეხვედრების სტატისტიკა ფრანგების უპირატესობაზე მეტყველებდა. ეს ორი გუნდი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ხუთჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს. აქედან ოთხჯერ გაიმარჯვეს ფრანგებმა, ხოლო ერთი მატჩი ფრედ დასრულდა. ამ შეხვედრებიდან ყველაზე გამოსარჩევი 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი იყო, რომელიც საფრანგეთს ნაკრებმა 2:0 მოიგო. მაშინ ესპანელთა ლეგენდარულ მეკარე არკონადას ერთი გოლი საჯარიმო დარტყმით უეფას ახლანდელმა პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ გაუტანა. ასევე ევროპის ჩემპიონატზე, ოღონდ 2000 წელს, როცა ფრანგები მეორედ გახდნენ ჩემპიონები, მეოთხედფინალში საფრანგეთ-ესპანეთის დაპირისპირება ზიდანის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. იმ მატჩში ერთი გოლი სწორედ "ზიზუმ" გაიტანა, ესპანელთა კიდევ ერთმა ლეგენდამ, რაულმა კი პენალტი ვერ გამოიყენა. გამოსარჩევია 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური დაპირისპირებაც, რომელიც საფრანგეთმა 3:1 მოიგო. საფრანგეთმა ფინალში გააღწია, სადაც იტალიასთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

ზოგადად, სტატისტიკა გარკვეულ კანონზომიერებას ადგენს, მაგრამ არა ამ შემთხვევაში. დღევანდელი ესპანეთის ნაკრები, რომელიც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონიცაა, სამართლიანად ითვლება მთავარ ფავორიტად. საფრანგეთი კი ის გუნდია, რომელიც თაობათა ცვლით გამოწვეული კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს. ამ მიმართულებით თითქოს გადადგა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ზედიზედ წაუგებელ 23-მატჩიან სერიაში გამოიხატა. თუმცა, ეს სერია ხუთი დღის წინ, სწორედ ევროპის ჩემპიონატზე, ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში, შვედეთთან მატჩში შეწყდა. სკანდინავიელებთან მატჩში გამოჩნდა, რომ ფრანგებს დაცვის ხაზში, განსაკუთრებთ მის ცენტრალურ ნაწილში, ყველაფერი წესრიგში არა აქვთ. ამას დაემატა შიდა კონფლიქტი მთავარ მწვრთნელ ლორან ბლანსა და შემტევ ნახევარმცველ სამირ ნასრის შორის, რამაც, მედიის დახმარებით, "სამფეროვანთა" შტაბიდან გამოჟონა. კონფლიქტი იმითაც დადასტურდა, რომ ნასრიმ, რომელიც მანამდე ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. საერთოდ, ფრანგების მწვრთნელის მიერ შერჩეული ძირითადი შემადგენლობა უცნაურად გამოიყურებოდა. დაცვის ხაზზე რეველიერი, კოშელნი, რამი და კლიში განლაგდნენ, თანაც, ამ ოთხეულის გარდა, მარცხენა ფლანგზე გამოჩნდა ამპლუით კიდევ ერთი მცველი, დებიუში, რომელსაც შეტევითი ფუნქციების შეთავსებაც ჰქონდა დავალებული. ფლანგზე რეველიერი-დებიუშის შეწყვილებით ბლანი ინიესტა-ხორხე ალბას ტანდემის განეიტრალებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ფრანგებმა მატჩი სწორედ ამ ფლანგზე წააგეს. სწორედ ინიესტას გამჭოლი პასით ხორხე ალბა ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და გააკეთა მოზომილი გადაცემა, რასაც ჩაბი ალონსო გამოეხმაურა და ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა გოლი. ეს მოხდა მე-20 წუთზე და, შეიძლება ითქვას, რომ მატჩიც აქ დასრულდა. გოლის შემდეგ ესპანელებმა შედარებით უკან დაიხიეს, თანაც, ისე, რომ ბურთზე კონტროლი არ დაუკარგავთ და დარჩენილ დროში საფრანგეთის ნაკრების მაღალი კლასის შემტევებისთვის არც ერთი რეალური საგოლე მომენტის შექმნის შესაძლებლობა არ მიუციათ. ბლანის გუნდს ვერც მატჩის მეორე ნახევარში შეცვლაზე შესულმა თავდამსხმელებმა უშველეს. მენეზე-ნასრი-ჟირუს თამაშში ჩართვით საფრანგეთის ნაკრების შეტევა მხოლოდ რაოდენობრივად გაიზარდა და არა ხარისხობრივად. თანაც, შეცვლები ნაწილობრივ საყრდენი ზონის შესუსტების ხარჯზე განხორციელდა, რამაც შუა ხაზში კიდევ უფრო შეასუსტა ფრანგების ისედაც ნაკლებად შთამბეჭდავი პოტენციალი. ყველაფერი კი დასრულდა ესპანელების კიდევ ერთი ლოგიკური გოლით, რომელიც ისევ ალონსომ შეცვლაზე შემოსული პედროს წაქცევისთვის დანიშნული პენალტის რეალიზებით გაიტანა. "დუბლის" ავტორ ჩაბი ალონსოსთვის ეს რიგით მე-100 მატჩი იყო "ფურია როხას" შემადგენლობაში. იუბილე მან თავის თავს და მთელ ესპანეთს ორი გოლით მიულოცა.

ესპანეთმა 2:0 მოიგო და გავიდა ნახევარფინალში, სადაც პორტუგალიას შეხვდება.

ევრო 2012. დონეცკის "დონბასარენა"

მეოთხედფინალი

ესპანეთი - საფრანგეთი 2:0 (1:0)

გოლები: 1:0 ჩაბი ალონსო 19`, 2:0 ჩაბი ალონსო 90" (პენ.)

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კუნძული იყიდა

ევრო 2012-ზე განცდილ წარუმატებლობას ფეხბურთელები სხვადასხვაგვარად იქარწყლებენ. ზოგმა, შესაძლოა, ერთ-ორი ჭიქა გადაჰკრას, ზოგი განმარტოვდეს, ზოგი ღამის კლუბში ერთობა. აი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი კუნძული იყიდა. შვედეთის ნაკრების ლიდერმა სტოკჰოლმის დასავლეთით მდებარე ტბა მალარენის ერთ-ერთი კუნძული შეიძინა.

შვედური სააგენტოს, Aftonbladet-ის ინფორმაციით, ქვეყანაში სიდიდით მესამე კუნძულ დავენსოზე რაღაც ნაგებობები უკვე არსებობს, მაგრამ იბრაჰიმოვიჩს ეს შენობები არ აინტერესებს. საქმე ის არის, რომ 500 ჰექტარის სიდიდის ხმელეთის ნაწილზე კარგი სანადირო ადგილებია და ზლატანმა გადაწყვიტა, საკუთარი სანადირო კუნძული მოიწყოს, მით უმეტეს, რომ ნადირობა მისი ჰობია. ამაზე შვედი ვარსკვლავი წერს ავტობიოგრაფიულ წიგნში "მე, ზლატან იბრაჰიმივიჩი".

მესი 25 წლისაა

24 ივნისს "ბარსელონასა" და არგენტინის ნაკრების ფორვარდს ლიონელ მესის 25 წელი შეუსრულდა.

ამ დროისთვის მესიმ უკვე მოასწრო "ოქროს ბურთის" ზედიზედ სამჯერ მოგება (2009, 2010, 2011), 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე არგენტინის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა და 2005 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო ახალგაზრდებს შორის.

"ბარსელონას" შემადგენლობაში სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ - მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი, ხუთჯერ - ესპანეთის ჩემპიონატი, ორჯერ - ესპანეთის სამეფო თასი და ხუთჯერ - ესპანეთის სუპერთასი. არგენტინელის აქტივში არაერთი რეკორდია, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

არეულობა პორტუგალიის ნაკრებში

პორტუგალიის ნაკრები ევროპის პირველობის ნახევარფინალშია და ესპანეთთან სათამაშოდ ემზადება. ჯგუფური ეტაპის მსვლელობისას რამდენჯერმე ითქვა, რომ პორტუგალიის ნაკრებში დაპირისპირებაა. კერძოდ, საუბარი იყო ნანისა და რონალდუს შორის არსებულ უთანხმოებაზე. პორტუგალიელთა ორმა ლიდერმა საერთო ენა იპოვა და ეს ნაკრების თამაშსაც დაეტყო. ნანი და რონალდუ მინდორზე მშვენივრად უგებენ ერთმანეთს და ამის წყალობით პორტუგალია უკვე ნახევარფინალშია.

ორი ლიდერი შერიგდა, მაგრამ ორმა სათადარიგომ ერთმანეთში რაღაც ვერ გაიყო. პორტუგალიელთა ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე იჩხუბეს რიკარდუ კუარეშმამ და მიგელ ლოპეშმა.

ორმხრივი თამაშის დროს კუარეშმასა და ლოპეშის ორთაბრძოლა კამათში გადაიზარდა და თანაგუნდელები რომ არ ჩარეულიყვნენ, საქმე ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდოდა.

ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ ლოპეში კუარეშმას უხეშად ეთამაშა. კუარეშმა და ლოპეში ევრო 2012-ზე ძირითადში ვერ ხვდებიან.

ბრაზილიაში ბეკენბაუერი იბრაჰიმოვიჩის მამაა

რას არ გაიგებს კაცი. თურმე ფრანც ბეკენბაუერი ზლატან იბრაჰიმოვიჩის მამა ყოფილა და ამის დამადასტურებელი საბუთებიც არსებობს.

არ გეგონოთ, რომ თავის დროზე კაიზერ ფრანცმა იცუღლუტა. საუბარია ეგზოტიკურ ბრაზილიაზე, სადაც ფეხბურთი რელიგიის რანგშია აყვანილი და მშობლები შვილებს ხშირად არქმევენ ცნობილი ფეხბურთელების სახელებს.

თავის დროზე ერთ-ერთმა ბრაზილიელმა ქომაგმა საკუთარ ვაჟს ფრანც ბეკენბაუერი დაარქვა, ახლახან კი კაიზერ ფრანცის სეხნიას ვაჟი შეეძინა, რომელსაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი დაარქვეს.

სახელის რეგისტრირების დროს გარკვეული პრობლემა წარმოიქმნა, რომელიც ბრაზილიელმა ბეკენბაუერმა იოლად მოაგვრა. "ბავშვის სახელის რეგისტრაციის დროს ქალბატონმა მითხრა, რომ საკითხი სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მე მას ავუხსენი, რომ თუ თავის დროზე მე ფრანც ბეკენბაუერი დამარქვეს, თავისუფლად შეიძლება ჩემს შვილს ზლატან იბრაჰიმოვიჩი დავარქვათ. იმედი მაქვს, ჩემი ვაჟი კარგი ფეხბურთელი გამოვა და "სანტა კრუსის" შემადგენლობაში ბევრ გოლს გაიტანს", - ამბობს ბრაზილიელი ბეკენბაუერი, რომელიც, როგორც ხვდებით, კლუბ "სანტა კრუსის" ქომაგია.

უიმბლდონის განთესილები

ალექსანდრე ასათიანი

25 ივნისს დიდი ბრიტანეთი ჩოგბურთით დაისვენებს. უიმბლდონი კიდევ ერთ ორკვირიან ფესტივალს იწყებს. თავისი ჰედლაინერებით, ფავორიტებით და საინტერესო ამბებით. საჩოგბურთო გარჩევებში ჩასვეს როიალური ოჯახის წევრები და მარწყვი. ბევრი მარწყვი. ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, მარია შარაპოვა და უილიამსები კორტზე ჯერ დაისვენებენ და მერე, ალბათ, მეორე კვირიდან აქაჩავენ. სხვებთან ერთად. უიმბლდონი Rules.

შარშანდელი ფინალები
ნოვაკ ჯოკოვიჩი - რაფაელ ნადალი **6:4, 6:1, 1:6, 6:3**
პეტრა კვიტოვა - მარია შარაპოვა **6:3, 6:4**
ბობ ბრაიანი/მარკ ბრაიანი - რობერტ ლინდშტედტი/ჰორია ტეკაუ **6:3, 6:4, 7:6 (2)**
კვეტა პეშკე/კატარინა სრებოტნიკი - საბინე ლისიცკი/სამანტა სტოსური **6:3, 6:1**
იურგენ მელცერი/ივეტა ბენეშოვა - მაჰეშ ბჰუპატი/ელენა ვესნინა **6:3, 6:2**

2012. ATP-ს განთესილები
ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, 1) - ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)
რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 28) - სერჰი სტახოვსკი (უკრაინა)
მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი, 24) - ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი)
ხუან მონაკო (არგენტინა, 15) - ლეონარდო მაიერი (არგენტინა)
ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი, 12) - ოლივიე როხუსი (ბელგია)
რიშარ გასკე (საფრანგეთი, 18) - ტობიას კამკე (გერმანია)
ფლორიან მაიერი (გერმანია, 31) - დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)
ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი, 8) - ერნესტს გულბისი (ლატვია)
როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 3) - ალბერტ რამოსი (ესპანეთი)
ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი, 29) - ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი)
ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 17) - ჯიმი ვანი (ტაიპეი)
ჟილ სიმონი (საფრანგეთი, 13) - პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)
ჯონ იზნერი (აშშ, 11) - ალეხანდრო ფალა (კოლუმბია)
ანდრეას სეპი (იტალია, 23) - დენის ისტომინი (უზბეკეთი)
მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 26) - დონალდ იანგი (აშშ)
იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი, 8) - დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)
დავიდ ფერერი (ესპანეთი, 7) - დასტინ ბრაუნი (გერმანია)
ენდი როდიკი (აშშ, 30) - ჯეიმი ბეიკერი (დიდი ბრიტანეთი)
კეი ნიშიკორი (იაპონია, 19) - მიხაილ კუკუშკინი (ყაზახეთი)
ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა, 9) - რობინ ჰაასე (ჰოლანდია)
მარინ ჩილიჩი (ხორვატია, 16) - სედრიკ-მარსელ შტებე (გერმანია)
მილოშ რაონიჩი (კანადა, 21) - სანტიაგო ხირალდო (კოლუმბია)
კევინ ანდერსონი (სამხრეთ აფრიკა, 32) - გრიგორ დიმიტროვი (ბულგარეთი)
ენდი მარი (დიდი ბრიტანეთი, 4) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)
ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი, 5) - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)
სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია, 25) - იურგენ მელცერი (ავსტრია)
ბერნარდ ტომიჩი (ავსტრალია, 20) - დავიდ გოფენი (ბელგია)
მარდი ფიში (აშშ, 10) - რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი)
ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 14) - იარკო ნიემინენი (ფინეთი)
ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინა, 22) - ალექს ბოგომოლოვი (რუსეთი)
ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია, 27) - ტომი ჰაასი (გერმანია)
რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 2) - ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია)

2012. WTA-ს განთესილები
მარია შარაპოვა (რუსეთი, 1) - ანასტასია როდიონოვა (ავსტრალია)
მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი, 29) - სტეფანი ფორეტცი (საფრანგეთი)
პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხეთი, 23) - ვანია კინგი (აშშ)
საბინე ლისიკცი (გერმანია, 15) - პეტრა მარტიჩი (ხორვატია)
ვერა ზვონარევა (რუსეთი, 12) - მონა ბარტელი (გერმანია)
ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 18) - კიმ კლაისტერსი (ბელგია)
კრისტინა მაქჰეილი (აშშ, 28) - იოანა კონტა (დიდი ბრიტანეთი)
ანგელიკ კერბერი (გერმანია, 8) - ლუსი ჰრადეცკა (ჩეხეთი)
აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 3) - მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკეთი)
დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 27) - ჯეიმი ლი ჰემპტონი (აშშ)
ნადია პეტროვა (რუსეთი, 20) - მარია ელენა კამერინი (იტალია)
ფლავია პენეტა (იტალია, 16) - კამილა ჯორჯი (იტალია)
ნა ლი (ჩინეთი, 11) - ქსენია პერვაკი (ყაზახეთი)
მარია კირილენკო (რუსეთი, 17) - ალექსანდრა კადანტუ (რუმინეთი)
შუაი პენი (ჩინეთი, 30) - სანდრა ზანიევსკა (პოლონეთი)
სამანტა სტოსური (ავსტრალია, 5) - კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი)
სერენა უილიამსი (აშშ, 6) - ბარბორა ზაჰვალოვა სტრიჩოვა (ჩეხეთი)
ჩი ჟენი (ჩინეთი, 25) - სტეფანი დიუბუა (კანადა)
ლუსი საფაროვა (ჩეხეთი, 19) - კიკი ბერტენსი (ჰოლანდია)
სარა ერანი (იტალია, 10) - კოკო ვანდეგეგე (აშშ)
დომინიკა ციბულკოვა (ჩეხეთი, 13) - კლარა ზაკოპალოვა (სლოვაკეთი)
ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 24) - ლაურა რობსონი (დიდი ბრიტანეთი)
ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი, 31) - სოფია არვიდსონი (შვედეთი)
პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი, 4) - აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი)
კაროლინ ვოზნიაცკი (დანია, 7) - ტამირა პაშეკი (ავსტრია)
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 32) - იანინა ვიკმაიერი (ბელგია)
რობერტა ვინჩი (იტალია, 21) - ეშლი ბარტი (ავსტრალია)
მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 9) - კეისი დელაკუა (ავსტრალია)
ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 14) - მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი)
ჯულია გიორგესი (გერმანია, 22) - შაჰარ პირი (ისრაელი)
ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი, 26) - სიმონა ჰალეპი (რუმინეთი)
ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 2) - ირინა ფალკონი (იტალია)

ლელოსთან ბურთი არ უნდა დაგვივარდეს

კახა ფაჩუაშვილი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ჩრდილოამერიკული ტურნე მარცხით დაასრულა. ბორჯღალოსნებმა ჯერ აშშ-ის ნაკრებთან წააგეს - 20:36, შემდეგ კი უფრო დიდი სხვაობით კანადასთან დამარცხდნენ - 12:31. მართალია, მილტონ ჰეიგის გუნდი ჩრდილოურ ტურნეში ოპტიმალური შემადგენლობით არ წასულა, მაგრამ თამაშებმა ნათლად წარმოაჩინა ის ლაფსუსები, რომელთა დახვეწა ახლო მომავალში მოგვიწევს.

ქართველ მორაგბეებს ამისთვის სულ ცოტა დრო დარჩათ. მომავალ წელს მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი იწყება და ამიტომ გუნდს მართებს, განსაკუთრებით ხელით თამაშის დროს, შეცდომების აღმოფხვრა. მილტონ ჰეიგი ცდილობს საქართველოს ნაკრებს გაშლილი რაგბი შეუსისხლხორცოს, ისეთი, როგორსაც დიდი გუნდები ქადაგებენ. ეს ტენდენცია ერთა თასის თამაშებში შეიმჩნეოდა, რაც თავისთავად კარგი სიგნალია ჩვენი გუნდის მომავალი განვითარებისთვის, მაგრამ ამერიკულ ტურნეში გამოჩნდა უამრავი ხარვეზი, რამაც საბოლოოდ შედეგზე იქონია გავლენა.

კანადასთან მატჩში, ისევე, როგორც აშშ-სთან, ბორჯღალოსნებს ხშირად ბურთი ხელიდან უვარდებოდათ. ეს სწორედ გაშლილი რაგბის თამაშისას ხდებოდა, მეტოქის ჩათვლის მოედანთან ახლოს და ამიტომ შეტევა ფერხდებოდა. სამი საღელოვე იერიში, ზედ კანადელთა ჩათვლის მოედანთან, სწორედ ამგვარი ლაფსუსის შედეგად ჩაიფარცხა, რასაც კანადელთა კონტრშეტევები და ლელოები მოჰყვა. ქართველი მორაგბეები მონუსხულებივით, ერთიმეორის მიყოლებით კარგავდნენ ბურთს და მეტოქეს უპირატესობას ანიჭებდნენ. ასე მივიღეთ მეორე და მესამე ლელოები. ამ შეცდომების გამო ვჯარიმდებოდით და კანადელებმა ამ ჯარიმებიდან 4 გამოიყენეს კიდეც.

ის ლელოებიც, რომლებიც საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს აგემა, ძველი, ნაცადი ხერხით - დაარტყი და მიეძალეთი გავიტანეთ. ასე რომ, თამაში, რომლის დანერგვასაც მილტონ ჰეიგი ცდილობს, აშკარად არ გამოგვივიდა. შესაძლოა, ეს შეუთამაშებლობის ბრალია, რადგან გუნდი არ თამაშობდა ოპტიმალური შემადგენლობით და სწრაფ თამაშში ვერ ახერხებდა ბურთის კონტროლს. თუმცა, თუ ასეა, მაშინ ახალზელანდიელ სპეციალისტს მართებს, რაც შეიძლება სწრაფად მიაგნოს ფორმულას, რომელიც ახლობელი იქნება ქართველი მორაგბეებისთვის და მათ საშუალებას მისცემს ლაღი, გაშლილი რაგბი ითამაშონ.

დრო ცოტაა. ნოემბერში ქართველ მორაგბეებს ორი ტესტი უწევთ: იაპონიასთან და ფიჯისთან, შემდეგ კი იწყება ერთა თასის გათამაშება, რომელიც პარალელურად მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა. ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებმა უნდა დაიბრუნოს თავისი თამაშიც და რეიტინგში დაკარგული პოზიციებიც.

გუნდისა და საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ ნოემბრიდან ბორჯღალოსნები ყველა მატჩს მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდება და, იმედია, ლელოს ხაზთან მისულებს, ბურთი ხელიდან აღარ დაგვივარდება.

ბერნაბი. ვანკუვერი (ბრითიშ კოლუმბია). 3661 მაყურებელი

კანადა - საქართველო 31:12 (23:7)

კანადა: 15. ჯეიმს პრიჩარდი, 14. შონ დიუქი (ჯეფ ჰესლერი 76), 13. კონორ ტრეინორი, 12. ფილ მაკქენზი, 11. ვან დერ მერვე, 10. მეტ ევანსი (კიარან ჰერნი 79), 9. ედ ფერჰერთსი (შონ ვაითი 54); 1. ტომ დოლეჟელი (მაიკ პლეჩი 64), 2. ენდრიუ თიდმენი, 3. ჯეისონ მარშალი, 4. ჯებ სინკლერი, 5. ტაილერ ჰოთსონი (ბრეტ ბექაბუმი 73), 6. ტაილერ არდრონი, 7. ნინიაკ დალა (დაგ ვულრიჯი 73), 8. არონ კარპენტერი (ჯონ ფელანი).

3 ლელო: ვან დერ მერვე, პრიჩარდი, დიუქი

2 გარდასახვა: პრიჩარდი

4 ჯარიმა: პრიჩარდი

სინბინი: მარშალი

მწვრთნელი: კირან ქროული

საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ლექსო გუგავა (22. ალექსანდრე თოდუა 56), 10. მერაბ კვირიკაშვილი (21. ლაშა მალაღურაძე 49), 9. ირაკლი აბუსერიძე (20. ბიძინა სამხარაძე 64); 1. მიხეილ ნარიაშვილი (17. ლევან ჩილაჩავა 61), 2. რევაზ ბელქანია (16. შალვა მამუკაშვილი 56), 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე (19. გივი ბერიშვილი 65), 6. გია ლაბაძე (18. შალვა სუთიაშვილი 49), 7. გიორგი თხილაიშვილი, 8. ბექა ბიწაძე.

2 ლელო: ბელქანია, მამუკაშვილი

1 გარდასახვა: კვირიკაშვილი

მთავარი მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი

ასისტენტები: ქრის გიბსი, ილია მაისურაძე, ილია ზედგინიძე

რეფერი: დეივ პირსონი (ინგლისი)

რეალური იტალია

პირველი გვერდიდან

დიამანტის ბოლო, ზუსტი პენალტი

ინგლისი ვერ გაიქცა, ინგლისს ინგლისური ხასიათი აკლდა და ინგლისი ვერ გაბრაზდა.

«სქაის» წამყვანი პირველ ტაიმში ორჯერ პაუზაზე გავიდა, ერთხელ კინაღამ დაიხრჩო და ერთხელ იტალიურად ჩაილაპარაკა, მამა მია. მერე თავის მეწყვილეს გადაულაპარაკა, ჯერ მაგრად გვიმართლებს, მაგრამ თუ ფეხბურთით არ დავკავდებით, გამართლების მარაგი ამოიწურება და იტალია შეგვჭამსო.

პირველ ხუთ წუთში თითო კარგი მომენტი იყო. დე როსიმ რომიდან გაუშვა ბურთი და ძელს ხია. წუთნახევარში ჯონსონმა ვერ გაისწორა ბურთი, რამდენიმე მეტრიდან ასიანი შანსი დაკარგა. მეკარეების მოცარტმა, ჯანლუიჯი ბუფონმა ასაღები აიღო. ბუფონურად აიღო.

იტალიამ ჯორჯო კიელინის ტრავმის გამო ახალი თარგის დაცვა დააყენა. ცენტრში ბონუჩი და ბარძალი, ფლანგებზე აბატე და ბალძარეტი. ცენტრში პროფესორი პირლო ენერგიას და პასებს ანაწილებდა. იქვე, პირლოს ახალგაზრდა მეგობარი, «იუვენტუსის» კიდევ ერთი ლიდერი, კლაუდიო მარკიზიო დარბოდა, ჩასაშლელს შლიდა და ელეგანტურ პასებს არიგებდა. იტალიამ პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე ტაიმში ლამაზი, პრანდელის ფეხბურთი ითამაშა. ინგლისი იდგა, მოლოდინის რეჟიმში დაფარა ძირითადი დრო და იტალია არ გაჩერებულა.

მოუქნელი და გაუგებრად გაპიარებული ბალოტელის შეცდომებით ინგლისმა დაისვენა, მაგრამ სტივენ ჯერარდის და მისტერ რუნის ბენდში სოლო ვერავინ ვერ დაუკრა. იტალია მშვიდად შიფრავდა ინგლისს და ჰარტის კართან ინდიანა ჯონსის კადრები მიდიოდა. პრანდელიმ შეცვალა დაღლილი და მონდომებული კასანო, გაიყვანა უფრო დაღლილი დე როსი და დაასვენა ალეწილი აბატე. სამივე შემცვლელმა საქმე გააკეთა და იტალიამ ბოლო, მძიმე სერიაში დაამთავრა ინგლისური ენის გასაუბრება.

ინგლისში ბევრს, თითქმის ყველაფერს ასწრებს ჯონსონი, არ აგვიანებს დაზღვევაზე ტერი და ინგლისი საკუთარ ზონაზე, თავის ტერიტორიაზე ხაფანგებს დებს. რუნის და სტივი ჯის ნაკრები არ, ვერ უქმნის პრობლემებს ელეგანტურ იტალიელებს.

პენალტების სერიაში იტალიამ პირველი იაღლიში დაუშვა. ჯერ ბალოტელიმ შეასრულა და მერე ჯერარდმა 1:1 აანთო. მერე ბურთთან მიდის მონტოლივო და ბურთი სხვაგან წავიდა. ძირითად დროში, მონტოლივომ 5 მეტრიდან ვერ დაამუშავა ბურთი. ხდება ხოლმე.

რუნიმ ათიანში გაუშვა ტყავის სუბიექტი. პირლომ პანენკა გაიხსენა და ბურთმა ხაზი იუმორით გადაკვეთა, კარში ტანგოს მოცეკვავის პლასტიკით შევიდა.

ინგლისმა შემდეგი ორი პენალტი ვერ აითვისა. იანგმა კარკასი დაღუნა და კოულს ბუფონმა გამოუცნო. ბოლო ჩხვლეტა სენიორ დიამანტის ქოლქით იყო. შხამიანი, მართლა ბოლო ჩხვლეტა. იტალია ნახევარფინალში გავიდა დ აიქ გერმანული გამოცდა აქვს ჩასაბარებელი. გერმანია სერიოზული გამომცდელია. ეს იტალიაც სერიოზულია. გუნდი არ აგებს და პრანდელის ბუფონი ჰყავს. პირლოც.

ინგლისმა ტურნირი საფრანგეთივით დაამთავრა. მძიმე, პასიური, უინიციატივო თამაშით და მინიმალური იმპროვიზაციით. ინგლისს კარგი რეანიმატორი უნდა.

გერმანია-იტალია რეალურად კარგი იქნება. უკვე მოაქვს.

¼ ფინალი

იტალია-ინგლისი **1:0** (**პენალტებით**)

სერია: **1:0 ბალოტელი, 1:1 ჯერარდი, 1:1 მონტოლივო** (კარს ააცილა), **1:2 რუნი, 2:2 პირლო, 2:2 იანგი** (ხარიხა), **3:2 ნოჩერინო, 3:2 კოული** (მეკარე), **4:2 დიამანტი**.